

მ რ ი

№ 22

კვირა 4 მკათათვე

№ 22

1910 წ.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

რედაქცია

უპირჩილესად სთხოვს ხელის-მომწერთ, ხელის მოწერის
ფულის შემოტანა დასჩქარონ.

შინაური სამრეწველო წარმოება საქართველოში.

ჩვენი სოფლის და ჩვენი გლეხის ცხოვრება ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. დღით-დღე იზრდება მათი გაჭირვება და სიღარიბე. მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა მრავალგვარი და მრავალფეროვანია.

უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ გლეხს საკმაო მიწა არა აქვს; რაც აქვს, არც ის ვარჯა, ვინაიდან მიწას ყოველ წელიწადს ამუშავენ, მიწა ვერ ისვენებს და ნაყოფი ყოველ წლიურ კლებულობს. ამას გარდა საქართველო მთიანი ადგილია და ბევრგან მიუსვლელი და მიუდგომელი ადგილებია, რომლის დამუშავება იმდენ ძალ-ღონეს ართმევს გლეხს, რომ შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს. მიწის უქონლობა შეიძლება ისეთი ჭირი არ იყოს, რომ ჩვენ გლეხს ცოდნა მისცა, ტექნიკური, აგრონომიული. ჩვენი გლეხი ისე ამუშავენს მიწას, როგორც მისი მამა-პაპები, მაშასადამე სოფლის უფიცობა და გონებრივი სიბნელე აზვიადებს პირველი მიზეზის მნიშვნელობას. ყველა ამას მიუმატებ ხეირიანი გზების უქონლობა, საერთოდ მცირე განვითარება ჩვენში მრეწველობისა და წარმოებისა, და სურათი მზად იქნება. სოფელმა და გლეხმა, რასაკვირველია, თავი უნდა დაირჩინოს და ამასთან ერთად უნდა იტვირთოს სახელმწიფო და საერო ვალდებულებანი. რა თქმა უნდა, მშვიერი გლეხი ვერ შეასრულებს და ვერც ასრულებს თავის მძიმე მოვალეობას. რომ რამე ნაირად თავი თავს მოუყაროს; მშვიერი არ დარჩეს და სახელმწიფო და სხვა მოვალეობას გასწვდეს ჩვენი გლეხი, ისე როგორც რუსეთის გლეხი, კიდებს ხელს შინაურს წარმოებას, შინაური ნაწარმოებით, ავად არის თუ კარგად,


დიდის ვაი-ვაგლახით თავს აღწევს. მაშასადამე, შინაური სამრეწველო წარმოება ჩვენში ეხმარება გლეხს და არსებობისათვის ბრძოლის დროს ცოტაოდენ ხელს უწყობს. საკმარისი და ჭეშმარიტი ცნობები შესახებ შინაურ წარმოებისა საქართველოში არა გვაქვს. ჩვენი ცნობები მხოლოდ დაახლოებით გვაცნობენ სოფლის მრეწველობის მდგომარეობას.

რას ამუშავენს ჩვენი სოფელი დღეს? უპირველესი ადგილი სოფლის შინაურ მრეწველობაში უკავია მატყლის დამუშავებას, აბრეშუმის, სპილენძის, ხის, თიხის და სხვ. ზოგიერთი ნაწარმოები იმდენად მშვენიერი ნახელავია, იმდენად კოხტა და მხატვრული ნაწარმოებია, რომ ქარხნიდან გამოსულს და დამუშავებულს გაცილებით სჯობია. მაგალითად, ნოხების წარმოება. ვინაიდან შინაურ სამრეწველო მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის და ვინაიდან იგივე მრეწველობა ძლიერ უადვილებს ცხოვრებას გლეხს, ცხადია, მთავრობამ ხელი უნდა მოუშარტოს და დახმარება აღმოუჩინოს გლეხს და მის წარმოებას. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ მწარმოებელს არ ყავს დამხმარებელი და ამიტომ ძლიერ განსაცდელშია. უბედურება შინაურ მწარმოებელთა მთელ საქართველოში იმაში გამოიხატება, რომ მწარმოებელთ არავითარი ტექნიკური ცოდნა არა აქვთ და ამ ცოდნას არავინ აძლევს. რასაკვირველია ცოდნას მოკლებულ ჩვენ მწარმოებელს გამოაქვს ისეთი დამუშავებული ნივთები, რომლებიც ვერ პოულობენ შესაფერ მყიდველს და მწარმოებელი ვერ უწევს კონკურენციას ქარხანას, მიუხედავად იმისა, რომ გლეხის ნაწარმოები გაცილებით იაფია. მაშასადამე, შინაურ მწარმოებელს უნდა შევძინოთ ტექნიკური ცოდნა და აღჭურვილი ცოდნით შესძლებს უფრო მხნეობრივად ბაზარზედ. მხოლოდ ტექნიკური ცოდნა საკმარისი არ არის. ჩვენში არ არის გაყვანი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შინაური წარმოება საქართველოში. **სამრეწველო**
სტანდარტები

მოგონებანი . ს. მაგალობლიშვილისა;
ჩვენი შედეგები ი. ბახტაძისა;
ბედი მგონისა ა. შანშიაშვილისა;
საერთო სიმღერა მეგობართ ი. კ--ლისა;
ინგლისის სახელმწიფო უფლების საფუძ-
ველი ზრდოფ. ა. დაიდას * *



ლი და მოწყობილი შესაფერისად გზები, მისვლა-მოსვლის საშუალებანი. ჩვენი სოფელი მოჭრილია და მოწყვეტილი ქალაქს, ე. ი. ბაზარს. თავის ნაწარმოებს გლეხი ვერ უპოვის ყოველთვის მყიდველს. მყიდველსა და მწარმოებელს შორის განცალკევებაა, დაშორებულნი არიან, მყიდველმა არ იცის არაფერი შინაურ მრეწველობის ნაწარმოების შესახებ. ამის შედეგი კი ის არის, რომ ნაწარმოებს ფასი ეკარგება; მწარმოებელი ბევრს ზარალობს, მაშასადამე, სანამდის მისვლა-მოსვლის საშუალებანი არ გაუმჯობესდებიან, სანამდის ქალაქი და სოფელი არ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, მანამდის შინაურ მწარმოებლის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მწარმოებელს ტექნიკური ცოდნა ექნება. უცოდინარობა, გზების უქონლობა არ არიან უმთავრესი მტრები შინაურ სამრეწველო წარმოებისა საქართველოში. მწარმოებელ გლეხს ეჭირება დასამუშავებელი მასალა: მატყლი, სპილენძი, და სხვ. სახსარი მათი შესაძენი არ გააჩნია, და იძულებულია მიმართოს სესხს, დიდ პროცენტებს იხდის და მოგება ძლიერ ნაკლები რჩება. ასეთი არა სასურველი მოვლენა უნდა მოიხსნას და სოფლის მწარმოებელს კრედიტი უნდა გაეხსნას, რასაკვირველია, ეგრედ წოდებული წვრილი და იაფ-ფასიანი კრედიტი. რუსეთში ბევრგან საერობო დაწესებულებანი ასეთ დახმარებას უწევენ სოფლის მწარმოებელს. ვინაიდან ჩვენი სოფელი და ქალაქი დაშორებულნი და განკერძოებულნი არიან, ვინაიდან ჩვენი მწარმოებელი ვერ გამოდის ბაზარში, გაჩნდა შუამდგომელი მწარმოებელსა და ბაზარს შუა. შუამდგომლები პირდაპირ დამოკიდებულებას მართავენ მწარმოებელთან, ყიდულობენ მისგან ნაწარმოებს, ძლიერ ნაკლებ ფასად, და თავის თავად ყიდიან შემდეგ ბაზარზედ. თუ რამდენს კარგავს მწარმოებელი ამ ოპერაციებას დროს, ძნელი გამოსაანგარიშებელია. ცხადია, მწარმოებელი დიდ ზარალში არის. ამ მიზეზებს გაუქმება ეჭირება და მხოლოდ მაშინ მოიპოვებს შესაფერის ნიადაგს ჩვენებური შინაური მრეწველობა და შესაფერ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენ დაქვეითებულ მწარმოებლებს.

შინაურ წარმოებას დიდი და ძლიერი მტერი ყავს: ქარხანა და მისი ნაწარმოები. ქარხნის ნაწარმოები უფრო კარგი და ხელოვნურია და მასთან ბრძოლას ვერ აიტანს შინაური წარმოება. ქარხნის ნაწარმოებმა გააუქმა და განდევნა ზოგიერთი შინაური ნაწარმოები. მაგალითად რუსეთის «ჩითმა» განდევნა ამგვარივე წარმოება სოფლად. მიუხედავად ამისა შინაურ წარმოებას ჩვენში ნიადაგი არ აქვს დაკარგული და არის იმდენი სხვა და სხვა გვარის წარმოება, რომელსაც ქარხნის ნაწარმოები ბევრს ვერას უზამს. მაშასადამე, ხელი უნდა შეეწყოს ჩვენ შინაურ მრეწველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უფრო დაეცემა და ისეც ლატაკი და ღარიბი სოფელი ერთიანად დაეცემა და დაინგრევა.

რა გააკეთეს ჩვენში. ამ საქმისათვის? რა დახმარება აღმოუჩინეს შინაურ წარმოებას? **არავითარი.** ჩვენ დაბეჯითებით, რა წარმოება არის ჩვენში, რამდენად გავრცელებული და სად. არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ იმ ცარცვა-გლეჯისათვის, რომელიც სულს ართმევს ჩვენ გლეხს სხვა და სხვა შუამდგომლების და „სოფლის ჭირისუფლების“ შემწეობით. მართალია. არც რუსეთის გუბერნიებში არის ხეირიანად დაყენებული შინაურ მრეწველთა წარმოების დახმარება, მაგრამ სადაც საერობო დაწესებულებანი მოქმედებენ, იქ შინაურ მრეწველობას ჩინებულად აქვს საქმე. ჩვენ ხშირად გავგივონია, რომ შინაური მრეწველობა ეკუთვნის მდამიო განვითარების საფეხურს, ეკუთვნის წარსულს და რაც მალე მოიხსობა და გაქრება, ის, სჯობიაო. რა თქმა უნდა, სჯობია კულტურის გამარჯვება, რა თქმა უნდა, სჯობია ელექტრონის და ორთქლის ძალებით მუშაობა! მაგრამ გვიპასუხონ, როდის ველირსებით ამ ნეტარებას, როდის შევა ორთქლი და ელექტრონი ჩვენ სოფელში და გლეხის ფაცხაში? ძლიერ დაშორებული ვართ ამ ბედნიერებას ჩვენ, ქართველები. მანამდის კი ვეცადოთ და ხელი შეუწყოთ ჩვენ დაბეჯავებულ სოფელს და მის გლეხს.

ადგილი და დრო ნებას არ მაძლევს ვრცელი ცნობები მოვიყვანო საქართველოში შინაურ მრეწველობის დასახასიათებლად. რამდენიმე ცნობა კი საჭიროა აქ მოვიყვანოთ ნათქვამის დასამტკიცებლად.

თბილისის გუბერნია. ყოველ წელს მოიწყვენ მთელ გუბერნიაში 127,000 ფუტს მატყლს, აქიდან 27,000 ფ. იგზავნება საზღვარგარეთ, ამერიკაში, საფრანგეთში, და 100,000 ფ-დე რჩება შინ და ზოგს ქარხნებში. ამუშავებენ, ზოგს კი გლეხები. საუკეთესო მატყლი დუშეთის მაზრაში არის. გორის და დუშეთის მაზრის გლეხები ამზადებენ მაუდს, თივთიკს. თიანეთის მაზრაში მაუდს ამზადებენ თხის ბუმბულისა და აქლემის მატყლისაგან, ამ მაუდის მწარმოებელი დღეში იღებს 20 კ.—30 კ.-დე. მაუდს ამზადებს დაახლოებით 300 კაცი და წლიური წარმოება მაუდისა ღირს თითქმის 300,000 მანეთი.

თიანეთის და დუშეთის მაზრაში ამზადებენ ნაბდის ქუდებს წლიურად თითქმის 3,500-დე, თითო ქუდი იყიდება 25—40 კ., წლიური შემოსავალი უდრის 1000 მ.

ამავე თიანეთის მაზრაში გავრცელებულია ნიჩფების, ურმის ბორბლების ნაწილების წარმოება; ამ საქმეზედ მუშაობს 150 კაცამდე და წლიურად დაამუშავებენ 15,000 მან.

დუშეთის მაზრაში ტყის თხილის ტოტებისაგან კალათებს წნიან; ამ ხელობით გართულია 80—100 კაცი და წლიურად აიღებენ 1200—1500 მ.

თიხის წარმოება ნაკლებად არის გავრცელებული თფილისის გუბერნიაში. მხოლოდ დუშეთის მაზრაში, სოფელ ცხოვატში 40 კომლი ამზადებს თიხის ქურქელს, რომელსაც წლიურად გაყიდიან 7000 მან.

ძლიერ საყურადღებოა შემდეგი წარმოება: სიღნაღის მაზრაში არის მცენარე, რომლის დაწვის შემდეგ რჩება ბორაკი გაუწმენდელი (Salsola kali salcornia) ადგილზედ ფუთი ბორაკი ღირს 25—30 კ. ბაქოში წლიურად დაიხარჯება ერთი მილიონი ფუთი. ცხადია, აქ წარმოებას დახმარება და ხელის შეწყობა სჭირია.

დუშეთის მაზრაში ძლიერ გავრცელებულია მცენარე გვირილა (ქამანი) (Pyrethrum roseum). ამ მცენარისაგან მზადდება საკურნებელი წამალი—რწყილის წამალი. გვირილას ამუშავებენ 300 კომლი. წლიურად 600 ფუთი იკრიბება, თფილისელი ვაჭრები ყიდულობენ ამ წამალს და შემდეგ თფილისში ყიდიან 10—14—16 მან. ფუთს.

ქუთაისის გუბერნია. მთელ ქუთაისის გუბერნიაში გავრცელებულია ბამბის წარმოება. ბამბიდან ამზადებენ უბრალო ხამის საქსოვ ძაფს. ხამს გლეხები თავის საქირიებისათვის ამზადებენ; ბამბას ჰყიდიან ქუთაისში 5—6 მანეთად ფუთს.

იყო ისეთი წლები, როდესაც ვანის საზოგადოება ყიდდა 30,000 მანეთის ბამბას. ეხლა კი ბამბის ვაჭრობა ძლიერ დაცემულია. ბამბის წარმოება ეხლა შემცირებულია, ვინაიდან მას დიდ კონკურენციას უწევს რუსეთიდან შემოტანილი ქარხნის ნაწარმოები. ეხლა მხოლოდ 1/4 მცხოვრებლებისა ამუშავებს ბამბას: ბამბის ნაწარმოები სოფელში რჩება და გასასყიდლად ნაკლებად გამოაქვთ.

რაჭის მაზრაში ბამბის წარმოება დედაკაცების საქმეა, შორაპნის მაზრაში, ხორაგაულის საზოგადოებაში ამზადებენ ბამბიდან ხაშს, 8 გოჯიანი ზომის ხამი ღირს 10—15 კაპ. ბამბის ნაწარმოებს აღარ შეუძლია ბრძოლა ქარხნის ნაწარმოებთან და მალე ბოლო მოეღება.

უფრო თვალსაჩინო და საყურადღებო ადგილი ქუთაისის გუბერნიაში უკავია მატყლის წარმოებას. ვანის საზოგადოებაში ამზადებენ მატყლიდან ქსელს, რომელიც არშინი ღირს 20—30 კ. მატყლიდანვე ამზადებენ საჩოხე შალს, ხელთათმანებს (ღირს 13—15 კამ.), წინდებს, რომელიც წლიურად იყიდება 100 მან. ბაღდადის საზოგადოებაში ამზადებენ წინდებს და ხელთათმანებს. ერთი დედაკაცი ერთ თვეში მოამზადებს საჩოხე შალს, რომელიც 5 მანეთი ეღირება. კუხის საზოგადოებაში ყველგან ქსოვენ საჩოხე შალს, საჩოხე შალი ღირს 3—15 მ-დე; ბაშლაყი 80 კ. 5 მ-დე; წინდა 10—40 კ. წყვილი. ფარცხმინის საზოგადოებაში დედაკაცები (10—60 წლ.) თითქმის

საყოველთაოდ ქსოვენ წინდებს, ნაკლებად შალს თავის საქირიებისათვის. ერთი ქალი ქსოვს წყვილ წინდას 35 საათის განმავლობაში და ერთი რება ერთი აბაზი. საშაღე ძაფს ყველგან ამზადებენ დასახლებულ საზოგადოებაში; მხოლოდ ქსოვილებს 31 დედაკაცი ამზადებს, მათ აქვს 20 საქსოვი დაზგა; ერთი წლ.ს განმავლობაში 200 ნაქერს ქსოვილს მოამზადებენ 800 მ. ღირებულებისას. ერთი ნაქერი ქსოვილის მოამზადებისთვის (8 კვადრატი არშინის სიგანის) ერთ მუშას სჭირდება 20 დღე ანუ 240 საათი; 6 გირვანქა მატყლი ნაქერისათვის დაუჯდება 2 მან. 40 კ., მაშასადამე ერთი ნაქერი ქსოვილი მაუდი ოთხ მანეთიანი აძლევს მოგებას 1 მ. 60 კ. მატყლის ქსოვილებს ამზადებენ რაჭის, შორაპანის და სენაკის მაზრაში.

ქუთაისის მაზრაში საპატოო ადგილი უკავია ტყავისაგან ნაწარმოებს. ამზადებენ ქალამნებს, ტიკებს და გუდებს, ბოხოხის ქუდებს, რომელიც 1—12 მანეთამდე ღირს. აგრეთვე გავრცელებულია საცრის წარმოება. ერთი დედაკაცი დღეში ამზადებს 5 საცერს, თითოეული ღირს 25—40 კაპ., იყიდება ქუთაისში. საშუალო წლიური შემოსავალი ერთი დედაკაცისა უდრის 35 მან.

— მასაღები ნებას გვაძლევს განვაგრძოთ მოთხრობა შინაური წარმოების შესახებ, მაგრამ, მგონი. ნათქვამი საქმარისია.

ვინც იკისრებს დაწვრილებით შესწავლას შინაური მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობისა ჩვენში, ნათლად დაინახავს, თუ რა ეჭირება მის გაძლიერებას და გაუმჯობესობას, მაგრამ ჩვენი უძლურება, ჩვენი საძაგელი მდგომარეობა, იმაშია, რომ ჩვენ ვერ ვიცნობთ ჩვენ ქვეყანას და როგორ შეიძლება სენისაგან განკურნება თუ ავთომყოფობის სურათი ნათელი არ იქნება ჩვენთვის

სიმ. ავალიანი.




მოგონებანი

II

ცხოვრება სოფლისა ბატონ-ყმობის დროს, — ნაჭირნახულების გატანა ბაზარში. — სოფლის ვაჭარ-ჩარჩები. — ხანულობა. — მოჯამაგირეობა. — დიამბეგობა. — სოფლის გამართობნი. — მოქირავნობა, აღზევანს სიარული მარილზე. — სოფლის მოძღვარი.

იშვიათი იყო სოფელი, რომ ბატონი არა ჰყოლოდა — თავადი, ან აზნაური. ზოგს თავადს ხომ აზნაურებიც ჰყავდათ ყმებად, ეგრედ წოდებული საბატონო აზნაური. სულ თითო-ორი სოფელია, რომელსაც ბატონ-ყმობის სუსხი არ უწევნევია. ეს




სოფელი ძალიან განირჩეოდა საბატონო სოფლიდან ზნეობით, პირდაპირობით და შეძლებითაცა. სოფელ ღირბი, საიდანაც მე ვარ, ეკუთვნოდა და ეკუთვნის ქართველთა ქრისტეს საფლავის მონასტერსა იერუსალიმში; ჟამთა ვითარებისა გამო ქართველთა მონასტერს დაეპატრონენ ბერძნის ბერები და მამულიც იმათ ხელში გადავიდა. ღირბში ცოტა რამ ყმები ჰყავდათ აზნაურ დეკანოზიშვილებსა, სხვა აზნაურნი უყმონი იყვნენ. მცირე მამულანნი. სამონასტრო მამული უზარ-მაზარია, სულ სამი ათასს დესეტინას უდრის, ანუ ქართლურის ანგარიშით ექვსი ათასს დღიურსა. აი ამოდენა მამულის ბატონ-პატრონი იყო და დღესაც არის იერუსალიმიდან გამოგზავნილი ბერი, ხარისხით არქიმანდრიტი. მოურავად ჰყავდათ თვით სოფლის გამჭრიახე გლეხთაგანი. მოურავები, როგორც მოგვხსენებით, თავისკენ უფრო ბევრს ითლიდნენ, ვინემ ბატონისკენ. როცა მომწიფდებოდა ხორბლეულობა, თვით არქიმანდრიტი, მოურავით, მამასახლისით და ბიჭებით, დაივლიდა მინდორ-ველსა და ასწერდა, ვის რამდენი ჰქონდა ნახნავი. დღიურზე ათა ჩანახი იყო გადაჭრილი ღალა. შემოდგომის პირზე აგრეთვე ასწერდნენ ვენახებსა და ვარაუდით დააწერდნენ კულუხსა (ღვინოზე ღალას ჰქვიან კულუხი). ამას გარდა სოფელი მოუმკიდა ბერსა ხოდაბუნსა, დაუკრეფდა ზვარსა, ყველა სამუშაოს უსრულებდა; დღესასწაულებში უზიდავდა ძღვენსა. მუშაობის დროს, განსაკუთრებით მამითადის დროს, ხარჯი ბატონისა იყო, სასმელ-საჭმელი უხვედ ეძლეოდათ, ღვინო ხომ თავზე სასხმელად იყო. ქერს უთუოდ სცელავდნენ, აბულულებდნენ და მერე მიჰქონდათ გასალეწად, პურს კი უსათუოდ მკიდნენ.

თუმცა სოფელ ღირბს თავის ბატონი ჰყავდა, მაგრამ იმას სხვა ბატონიც არ აკლდა: ღირბს ტყე საკუთარი არა ჰქონდა, საწვავი შეშა, ფიჩხი და ხის მასალა გამოჰქონდა სხვის ტყიდან, სხვა თავადის ან აზნაურის ტყიდან. ამიტომ იმათაც ემსახურებოდნენ; გლეხი გაჯერებული იყო. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, ჩემის აზრით, რომ ძველად ოჯახი არ ნაწილდებოდა. მარტოხელა ოჯახი დაღუპული იყო: წელში იყო გაწყვეტილი თავისი და ბატონის სამუშაოსაგან. ყველა სამუშაოზე ხალისიანი, საამური თვით მუშისათვის და აგრეთვე გარე მაყურებლისათვის იყო მკა. გამოჩენილ მომკვლებს ხმა ჰქონდათ გავარდნილი. როცა რომელიმე თავადს მამითადი ჰქონდა, თავს მოუყრიდა ახლო-მანლო სოფლების განთქმულს მომკვლებს. ხოდაბუნის პატრონს შიგ შუა ხოდაბუნში ჰქონდა გაკეთებული ცოტა ამალღებული ადგილი. აქ მოიწვევდა მეზობელ თავადებს და მაღლიდან გადასცქეროდნენ მომკვლების ბრძოლასა. ხშირად ასი და მეტიც ნამგლიანი კაცი მოიყრიდა თავსა. გაიყოფოდნენ დას-დასად და მოედებოდნენ ყანასა „მტერივითა“. ყველა დასს თავისი მეთაური

ჰყავდა, გამოცდილი და დახელოვნებული მომკალი. რამდენ სვესაც გაიტანდა დასი, შესდგებოდნენ შინვე გაჩნდებოდნენ ღოქ-ყანწებით, ხატონის მწიქარა ყმანი და აწვდიდნენ ყანწებით ღვინოსა. ღვინოსაგან შეხურებულნი კვლავ ცეცხლივით მოედებოდნენ ყანასა. იყო დაუსრულებელი ჟრიამული, ნამგლების ტრიალ-ჟღერილი, „ჰოპუნას“ გუგუნი, ერთი დასისაგან მეორესადმი ოხუნჯურ ლექსების და ხანდისხან უწმაწური შაირების სროლა. გამოცდილ მომკალს ისე გაჰქონდა ყანა, ისე აწყობდა ხელაურს-ხელაურზე, თითქო მაშინით სცელავსო, ჩამორჩენილებს შესჭყვივლებდა; „ჰაი თქვე ლაჩრებო, თქვენა!“ შეუკურთხებდა შაირით და ჩამოუბრუნდებოდა, რომ ჩამორჩენილებთან სწორედ გაეტანა სვე.

გლეხის სადილობის დროს, ასე ათს საათზე, მობძანდებოდა ბატონი თავის სტუმრებით მამითადში. მაშინ მეთაური სხვა და სხვა დასისა თითო მომკალის თან ხლებით ბატონს და სტუმრებს მიაგებდნენ ყანის პირში ხელაურს სიმღერითა და ნამგლის ტრიალით. ბატონი და სტუმრები დაასაჩუქრებდნენ ფულით. ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ გახელებული მკის დროს გზად გაივლიდა: გადუღებოდნენ ხელაურითა; მგზავრებს მეტი ღონე არა ჰქონდათ, უნდა დაესაჩუქრებინათ ფულითა, არ დაასაჩუქრებდა და მიაყოლებდნენ უწმაწურ შაირებსა; ან ცხენს ფაფარს შეუჭრიდნენ ნამგლითა, ხშირად კუდსაც მოაჭრიდნენ ცხენსა. განსაკუთრებით ვაჭარი ურიები და მეწვრილმანე მოვაჭრენი იყვნენ უბედურობაში, დაინახავდნენ თუ არა, რომ მომკალს ხელაური მიაქვს, ცხენებს დასძრავდნენ. მაგრამ ფართალ აკიდებული ცხენი სად წაუვიდოდათ. ხშირად ბოხჩები გადუცვივდებოდათ, თითონაც ცვაოდნენ ცხენებიდან, დაიჭერდნენ საბრალო ურიებს ტყვედ და წამოიყვანდნენ ბატონთან ყანაში. იძულებულნი იყვნენ ბოხჩიდან ხელსახოცი ამოედოთ და მეთაურებისთვის მხარი აეხვიათ. საზოგადოდ მეთაური მომკელი დიდს პატივში იყო: იმისი იყთ საკლავის თავ-ფეხი და ტყავი.

გლეხი, განსაკუთრებით მარტოხელი, თავის საქმისათვის ვერ იცლიდა, ამიტომ მცირე ოჯახები, ე. ი. მარტოხელა, მუდამ სიღარიბეში ჰღაფავდა სულსა და სოფლის ბარგად ხდებოდა: სოფელი ემზველებოდა—მოუმკიდა, გაულეწდა, მკაში ეხმარებოდა, მაგრამ მაინც ნაკლებულემაში იყო. ძველს სოფელს თავის ნაწარმოები, ნაჭირნახულევი იზვიათად გაჰქოდა ბაზარში უგზობისა გამო. ამიტომ იძულებულნი იყვნენ ადგილობრივვე ეძლიათ ნახევარ ფასად ქალაქებიდან მოსულ ჩარჩ-ვაჭრებისათვის და ადგილობრივ ურიებისთვის. ქართლში გორის მაზრაში, ამ დროს ებრაელები მოსახლეობდნენ ცხინვალში, ბრეთში, ფცაში და სურამში. უფრო იოლლიანნი იყვნენ მოვაჭრე ებრაელები. ზაფხულში და შემოდგომაზე, მოსავლის მოკრეფის



დროს, სოფელი ამსებით—ამსებოდა მოვაჭრეებით; ზოგს დაკვეთილი ჰქონდა პური, სიმინდი, ქერი, თუ ტკბილი ნახევარ ფასად. იმსებოდა ტომრები და ურემი-ურემზედ მიდიოდა ქალაქებისაკენ. რასაკვირველია, ეს ყველაფერი აწვებოდა კისერზედ ღარიბ გლეხობასა, რომელსაც ღონე არა ჰქონდა, წასულიყო ბაზარ ადგილას და იქ პირდაპირ გაეყიდნა. ყოველიფერი სოფლად, რომ იტყვიან—ობრად ფასობდა: კოდი პური. ანუ რვა ჩანახი, ფასობდა ექვს აბაზად, ხანდისხან მანეთ ნახევრად. ერთხელ, მახსოვს, რვა აბაზი გახდა კოდი, ანუ ჩანახი აბაზად. დიდ უბედურობად მიაჩნდათ ეს მოვლენა, სწორედ ღვთის რისხვად,

— რათ მოგვივა კარგი დრო! ღმერთმა ჩვენზე ხელი აიღო, წელს მოსავალმა გვიკლო და კოდმა პურმა რვა აბაზამდე შეითამაშაო, ამბობდენ მოხუცებულნი.

ეს ამბავი იყო იყო სამოციანი წლების დასაწყისში.

ხვან-თესვის გარდა ხალხის ეკონომიურს ღონეს შეადგენდა კიდევ სხვა და სხვა შონა-მრეწველობა—მეფუტკრეობა, მეაბრეშუმობა, სხვა და სხვა ხელნაქნარი, ყველისა და ერბოს დამზადება. ყველასი და ერბოს დასამზადებლად შემოღებული იყო ეგრედ წოდებული **ხანულობა**.

რაში მდგომარეობდა **ხანულობა**? — პეტრე-პავლობისა და მარიობის მარხვა იყო გადადებული ყველისა და ერბოს გასაკეთებლად. ქართლში, მოგეხსენებათ, ეგრე რიგად საქონლის მოშენებას არ მისდევენ. გუთნეული ხარ-კამბეჩი და რაოდენიმე—ორი-სამი—მეწველი ძროხა და ფურ-კამბეჩი თუ ჰყავდათ, დიდი შეძლებული იყო და იშვიათიც არის, მერე ეხლა, ამისი მქონე ოჯახი. თითო ძროხა ყველისა ჰყავს. ერთი ძროხის რძე რა ყველსა და ერბოს დაამზადებს. ამიტომ ორი სამი თითო ძროხიანი შეერთებოდნენ, შეადგენდნენ ამხანაგობას. რამდენიმე დღეს ორი მესამეს უზიდავდა საწველე-ლით რძესა. ყველას ქდეები ჰქონდა თავისთვისა. რომ მიიტანდნენ მორიგესთან, ის ჩააყუდებდა საწველე-ში ქდესა, სადამდინაც მისწვდებოდა რძე, იქ ქდეს გაუკეთებდა. ასე ყოველ დღე. ახლა მეორეს მიუზიდავდენ, ახლა მესამე ამხანაგსა. პირველი ამხანაგი მიიტანილ რძეს მაწვანად აყენებდა, მერე სდღვებავდა და ამოჰქონდა კარაქი, ან ზოგს რძეს ყველად აკეუებდა. როცა ერთი მოჩებოდა, ახლა მორიგად მეორეს მიუტანდნენ. პირველი მეორეს და შემდეგ მესამე ამხანაგს იმდენს მიუტანდა, რამდენსაც უჩვენებდა მისგან დანიშნული ქდე. ამას ერქვა **ხანულობა**, ე. ი. ხანგამოშვებით ერთმანეთთან რძის ზიდვა, მირწყვა. ამ ნაირის წესით თითქმის ყველა ხელმოკლე გლეხს თავისი სამყოფი ერბოც ჰქონდა, ყველიცა და დომხალიცა. ყველა ეს დედაკაცების ხელში იყო.

მაგრამ გაჭირვებიდან მაინც ვერ ამოდიოდა სოფელი, მაინც ცხრა ტყავი სძვრებოდა. გაჭირვებისა გამო მოჯამაგირეობა იყო გახშირებული. ორი ძმისაგან შემდგარი ოჯახი, მცირე მამულიანი, ერთს ძმას, უცოლ-შვილოს, იმეტებდა მოჯამაგირედ, ის უდგებოდა რამდენიმე თუმნად მღვდელს, ან შეძლებულს გლეხსა. მოჯამაგირე ვირის ტანჯვას ითმენდა, იმას კაცად არ აფასებდენ, კაცად არა სთვლიდნენ. დღე ღამე იყო იმისთვის და ღამე დღედ, აი ერთს ხალხურს ლექსში როგორ არის აწერილი მოჯამაგირის ცხოვრება:

მოჯამაგირის საქმესა
ადვილად იტყვის ენაო,
დილით რომ ქალაქს გაავდონ,
სალამოს გორისკენაო... (*)

— «თუ კუ კურდღელი დაიჭირო (აბაქებს ბატონი)

ხორცი მე, ტყავი შენაო;
თუ რომ მეღა დაიჭირო,
ტყავი მე, ხორცი შენაო»

გაჭირვებულს სოფელს ხმის ამომღებნიც ჰყავდნენ, თავისუფლების მძებნელნი, მსურველნი, ამათ სოფელში ბატონები **ავციებს** ეძახდნენ. ბოლმა და ვარამი, გლეხების გულში მუწუკად ქცეული, ვეღარ ეტეოდა მის გულში და რომელიმე გაძებდავი, კჳუიანი გლეხების პირით იფეთქებდა, სკდებოდა. მუწუკი და იარა მალამოს თხოულობდა დასაამებლად. მაგრამ ვერ იპოვა და ვერ სოფელმა სანატრელი თავისუფლება. პოეტები თავისუფლებას გუნდრუკს უკმევენ, ათახ ფერად ამკობენ: შენ ხარ ნავსაყუდელი გაჭირვებულთაო, მაგრამ ჯერაც ვერ გამხდარა ნავსაყუდლად. სამართლიანი ხალხი ცოტაა ჯერაც, სამართლიანობას ჯერ ყველა არ მოუცავს, უსამართლობაა ჯერედ გაბატონებული. სამართლიანს თავისუფლება ყველასათვის სურს, უსამართლოს კი მარტო თავისთვის. კარგად აქვს ჩვენს ხალხს გამოთქმული ეს აზრი: „მართალს კაცს ცხენი უნდა შეკაზმული ჰყავდეს, სთქვას მართალი და მაშინვე მოახტეს ცხენს და გაიქცესო“.

ამაღლებდა თუ არა რომელიმე გლეხი ხმას უსამართლობის წინააღმდეგ და მოითხოვდა თუ არა სოფლისთვის სამართალს და სიმართლეს, მაშინვე აცნობებდენ დიანბეგსა. ისიც გაჩნდებოდა თავის ამალით და ჩაფრებით. მომეტებულად დიამბეგებად ქართველი თავადები იყვნენ, ჩამოხტებოდა დიამბეგი ამალით სოფლის მებატონესთან.

— აბა, მომგვარეთ ის სოფლის აყია, სოფლის ამრევი, ბატონისა და ღვთის მოლალატე.

*): ქალაქს დაბალი ხალხი, ძველადაც და ეხლაც, **თფილისს** ეძახდა; სხვა ქალაქებს ქალაქებად არა სთვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა ტფილისში მიდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის—ტფილისს მივდივარო, არამედ იტყვის ქალაქს—მივდივარო.

ჩაფრები მოედებოდნენ სოფელსა. სოფელი გაიკმინდებოდა; ყველას გული უძაგდაგებდა. ეს ძაგდაგი შიშისა არ იყო. ეს იყო ძაგდაგი სისხლის ძიებისა, დაგუბებულის ბოდმისა, ჯავრის ამოყრისა, მაგრამ კირთებისაგან გათელილს გლესს მარტო გული უთრთოდა, მარტო გული უძაგდაგებდა. ძალა კი სულისა ჩაკლული ჰქონდა, ეს ძალა ვერ იშლებოდა. მხოლოდ რჩეულნი შვილნი სოფლისა, ძლიერნი სულითა, სარგებლობდნენ ამ ძალითა, იმას ვერ აშინებდა მათრახნი ჩაფრისა; მათრახს იფენის სახრეს, ან შინდის კომბალს შეაშველებდნენ, ბევრჯელ გაუჭრელებიათ ჩაფრები იფენის სახრით და თავი გაუჩეხიათ შინდის კომბლით. სცენაზედ საბრძოლველად გამოსული გლეხი საშიში იყო დიამბეგისათვის, განსაკუთრებით კი მამბეზლარი მებატონისათვის, ძლიერ იშვიათი იყო ოჯახი, რომ იარალი არა ჰქონიყო, ხანჯალი ხომ განუშორებელი მეგობარი იყო თითქმის ყველა გლეხისა.

დაძებნიდნენ ჭალა-მინდვრებში და როგორც იყო მიაგნებდნენ განდგომილებსა. იმათ მიყვანამდე მამასახლისს გაამათრახებდა დიამბეგი ან მისი თანაშემწე, სილებით აუწვავდნენ ყბებსა და პატარა ბავშვივით ყურებს აგლეჯდნენ.

მახსოვს მამასახლისად იყო არჩეული ერთს ამისთანა დროს გაბრიელ მაჭარაშვილი*), კაკი საყვარელი მთელი სოფლისა, ახალგაზრდობაში ქებული თავის ვაჟკაცობით და პატიოსნობითა, მუდამ ამაყი და სიმართლის მთქმელი, ამასთან ბრვე, წამოსადეგი ვაჟკაცი. შემოუტია დიამბეგმა, თუ არ გიპოვნია ეს და ეს კაცი და ეხლავე არ მოგიყვანია, წამოგაქცევ და რაც სიგძე გაქვს, იმ სიპტყეს მოგცემო.

— მე რომ მცოდნიყო, რისთვის მობძანდით, შესაძლებელი იყო არსად გამეშვა და წარმომედგინა, უთხრა მტკიცედ გაბრიელ მამასახლისმა ბ. დიამბეგსა და ყვარჯენზე დაეყრდნო.

— რას რომავე, შე არამზადავ! დიამბეგმა გაშალა ხელი სილის გასარტყმევად.

გაბრიელ მაჭარაშვილმა უკან დაიწია, აიცილინა სილა და უთხრა:

— ბატონო, სამაგიერო არა დამიაშვევია—რა, არც როდის არავისაგან ნეკი არ დამკარებია. ნუ ინებებთ ჩემს შეურაცხყოფასა.

— დაკათ, ბიჭებო, მაგას! წამოაქციეთ და სამოცი «როზგი» უტახუნეთ, შეჭლრიალა დიამბეგმა. ბიჭებმა გაიწიეს ბძანების ასასრულებლად.

ბერიკაცმა გაბრიელმა იძრო ხანჯალი და შეჰყვირა:

— პირველს, ვინც კი წამოსდგამს ნაბიჯს, გულში დავასვამ ხანჯალს და მერე რაც გნებავდეთ, ის მიყავით. ჩემი მარჯვენა კიდევაც გაჰყვეთს მაგისთანა ლაწირაკებს.

(*) ჩემს ნაწერში „წარსულიდან“ მოთხრობა მაქვს „მგელ ბაბია“, ეს „მგელ ბაბია“ იგივე გიბრალ მაჭარაშვილი, ახალგაზრდობაში სოფლის გმირი, მოხუცებში მამასახლისად იყო,

მახსოვს, ჩავარდა შუა მამა-ჩემი, რომელიც ცოტა ნათესავად მოხვდებოდა დიამბეგს, როზგს გაქვს დაარჩინა, მაგრამ სამს დღეს ჩამწყვდიეს გაბრიელი სოფლის სატუსალოში—გომურში.

დიამბეგის სამართალი იჭრებოდა მათრახით და „როზგითა.“ ბევრჯელ მოვსწრებივარ, რომ წამოუქცევიათ მოხუცებული გლეხები და „როზგით“ გაუჭრელებიათ. ამის შედეგი ის იყო, რომ მოჰკლავდა რომელიმე გლეხთაგანი მამბეზლარ ბატონსა და გავარდებოდა ტყე-ველად ყაჩაღად.

ამოდენა ჭირ-ვარამს სოფელი მაინც უძლებდა. მაგრამ მის გულზედ იქდებოდა ყველა ეს, როგორც გრამაფონის ფირფიტაზე სიმღერები, როდისმე დასაქდები ადგილი აღარ ექნებოდა და გარედ გამოვიდოდა, გადმოინთხებოდა დაგუბებული ჭირ-ვარამი სოფლისა. გასაკვირვებლად მიიჩნიეს ნაბატონებმა აწინდელი სოფლის აბობოქრება, თავზე ხელის მოსმა და თავისუფლების ტრფიალი. რად გაუკვირდით, როდესაც გასაკვირველი არა იყო რა: იგი იყო პირდაპირი შედეგი მათის ნამოქმედარისა.

გაჭირვების დროს სოფელს დამლხინებლებიც ჰყავდა: წყლიანი მოლაპარაკენი, მეოხუნჯენი, სოფლის მესტვირეები, მოლექსენი. ერთხელ, როდესაც დიამბეგმა დაარბია სოფელი, ხალხმა თავი მოიყარა წირვის შემდეგ და დალონებული სჯა-ბაასობდა თავის უბედურ ბედზე. იმ დროს შეესწრო კაკია გულიაშვილი, სოფლის მოლექსე, ჭირ-ვარამის გამომხატველი და მკიცხავიც. მოუბრუნდა მოხუცებულებს და უთხრა: ნუ გეშინიათ,

ეხლა მოვა გაზაფხული,
დედა-მიწის გამხარველი;
ტყე-ველიცა აჰყვავდების,
მინდორს სხვა ფერი დაედვის...

— კარგია, ბერიკაცებო, გაზაფხული, არ გამოგიცდით გაზაფხულის პირზედა ეს ნათქვამი:

სოფლის ბოლოსა მოვედი,
გამოსულა საყვარელი:
შევხედე და შემომხედა,
ტურფად დამიქნია ხელი...
საწყინარმა თვალმა მითხრა—
ღმერთო, შენ კეთილი ჰქენი...

— აი ვინც შენ დაგიქნევდა ხელსა, შენმა მზემა, პირში ჩაადნებოდი, აპუბტს რომ გეცხარ, სიცილით გადაელაპარაკენ მეზობლები.

— ჰაი თქვე დოყლაპიებო, წაუწვებით დიამბეგებსა, გიჟაპუნებენ როზგებსა...

— ბიჭო, გაჩუმდი, ოორემ ყარაული გიჯობს, შენისთანები გაუმათრახებიათ.

— ჩემისთანები არა ყოფილან, ვაი არა აქვს კაკიას.

სოფელი სულს იდგამდა კიდევ ჭირაობით, მარილის მოტანით აღზენიდან და ბაზარში ნაჭირნახულების გატანით.

შეძლებული ოჯახი მოინარჩუნებდა ერთის ან ორი ურმის ხარ-კამეხსა, მიდიოდა ქალაქში, ტფილისში და იქიდან მოჰქონდა საქონელი სხვა ქალაქებში, მაგალითად ბაქოში, გუმბრში, ერევანში, ქუთაისში, ფოთში, ყულევში. ქარავანი ქარავანზე გადაბმული მიდიოდა ფოსტის გზებზე. მთელი ზაფხული, მაისიდან მოკიდებული ღვინობისთვის, ქირაზე დადიოდნენ და კაი ფულსაც იღებდნენ. ქარავანი შეიარაღებული იყო თოფ-იარაღით, ჰყავდათ თან ძაღლები და მამლები ღამის მიმდინარეობის გასაგებად. ქირაზე მოსიარულე კაცი პატივცემული იყო თავისი გამოცდილებითა, ბევრი ახალი ამბავი შემოჰქონდა სოფლებში, ნანახსა და გაგონილს უზიარებდა სოფელსა.

— ისე ჩავა ყულევში და მოვა, — იტყოდნენ ხოლმე ამისთანა კაცზე, — როგორც თავის სახლში.*)

მაშ რა ექნა სოფელსა, თუ სხვა შრომაც არ ეკისრა, რათა ამოსულიყო ვაღისა და ვახშისაგან. **ლიტრის** კაცს კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ **ჩარექისა** ან ნახევარ ჩარექის კაცს კი ძიელ უჭირდა. მაგრამ ეს ტერმინები გაუგებარი იქნება, — მე ვგონებ, — აწინდელ მკითხველისათვის, თუ არ განვმარტებ:

სახელმწიფო ხარჯის, ანუ როგორც გლახობა ეძახის „ფოსტის ფულის“ ასაკრებად, სოფელი განაწილებული იყო თვით სოფელთაგან ოთხ კატეგორიად: ლიტრის კაცი, ნახევარ ლიტრისა, ჩარექისა და ნახევარ ჩარექისა. ძველად სოფელში უმაღლესი ზომა საწონისა იყო ლიტრა — ათი გირვანქა, ნახევარ ლიტრა — ხუთი გირვანქა, ჩარექი, — სამი გირვანქა და ნახევარ-ჩარექი — გირვანქა ნახევარი. ფუთობით ანგარიში არ იყო. იტყოდნენ ორა ლიტრა გამოვიდა, ანუ ოთხ ლიტრა მარილის ქვას და სხვ. აქედან ლიტრის კაცი იყო ყველაზე შეძლებული, თავი ოჯახი ქონება-შეძლებითა. ამ ოჯახს მეტი ეწერა ხარჯი, და ასე ქონება — შეძლების მიხედვით.

აღზევანს მარალისათვის უფრო ლიტრის ოჯახი მიდიოდა, ამის გარდა შეერთებოდნენ ნახევარ-ლიტრიანები ერთად და ერთს ურემს შეაბამდნენ, აგრეთვე შეერთდებოდნენ რამდენიმე ჩარექის კაცი და ისინიც ერთს ურემს გააბამდნენ. დიდი სოფლიდან სულ უკანასკნელი ერთი ათი ურემი მაინც წავიდოდა, ურემში უსათუოდ გაბმული იყო ყველარი სანაქებო ხარ.კამბეჩი. მარილზე მიდიოდნენ უფრო მარილობისთვის ნახევრიდან, როცა კალოობას მისწურავდნენ. რამდენიმე სოფლის ურემი მოიყრიდა თავსა შარა გზაზე და ერთად გაუდგებოდნენ აღზევანის გზასა. აღზევანს უფრო ნავალი, ნაცადი და რჩეული ვაჟკაცი გლახობა მიდიოდა, რადგან

ხშირად შეტაკება ჰქონდათ ხოლმე თათრის ყაჩაღებთან. აღზევნიდან დაბრუნება სახლში შემვიდობით დღესასწაული იყო, სიხარულით დასუბუღებულად სოფელი მოსულესა და იყო ერთი ხვევნა-კოცნა. ამიტომაც გამოუთქვამს ხალხს პაწია ლექსი:

აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავებხვევი.
მერმე ცოლსა და შვილსაო.

იმდენს მარილს მოიტანდა სოფელი, რომ მთელს სოფელს წლითი წლამდე ჰყოფნიდა. ნახევარ-ჩარექიანს ოჯახს მიჰქონდა ერთი ჯამი ფქვილი ან ხორბალი და გადასცვლიდა მარილზე. ზოგი მუშად გაჰყვებოდა ბარვანში, თოხნაში და ოჯახში მარილს გააჩენდა. ერთის სიტყვით სოფელს მარილი ბაზრიდან არ მოჰქონდა.

გარეშე მშველელი სოფელს არა ჰყავდა, თვით იყო თავის ჰკუის დამრიგებელი, რიგისა და წესის მიმცემი. ზოგან სოფლად პატიოსანი და სათნო მოძღვრები ჰყავდათ. აწინდელ სოფლის მღვდელსა და მაშინდელის შორის დიდი საზღვარი სდევს. წარმოუდგენელი იყო, რომ მოძღვარს. — ასე ეძახდა სოფელი მღვდელს, — ვინმე შეეწუხებინა. მე მახსოვს ჩემს პატარაობაში — პაპა-ჩემი, მამა-ჩემი, ფილიპე ყიფშიძე, პაპა ჩვენთა მწერალთა — ძმათა ყიფშიძეთა, პეტრე სამადალაშვილი. სოფელი სწორედ თავყანსა სცემდა ამ მოძღვრებსა: დამრიგებელნი, მრჩეველები გასაჭირში, ბავშვების აღმზრდელნი, კვირა-უქმით ვეფხვის ტყაოსნის, გურამიანის და სიბრძნე-სიცრუის წიგნების მკითხველნი, სახარების ამხსნელნი და სხვ, ხალხიც პატივით ექცეოდა: მოძღვარმა არ იცოდა, როგორ მოიმკებოდა მისი ყანა, როგორ გაილეწებოდა. სოფელი მოუმკიდა, გაულეწდა და ორმოში ჩაუყრიდა პურსა. ქვევრს მოხდიდა გლახი, მღვდელს უნდა პირჯვარი გადაეწერა, გლახი ერთს თუნგს ღვინოს მიართმევდა; პირველად შეყენებული მაწვნის ქოთანნი მოძღვარს მიერთმევოდა; პირველი ბუდის დაყვინჩილებული ვარია, მოძღვართან მიჰქონდა. ერთის სიტყვით მოძღვარს არა აკლდარა სოფლისაგან. იგი სოფელს პირზე ტყავს არ აძრობდა, სოფელიც ამას აფასებდა და პატივში ჰყავდა თვისი მოძღვარი.

აწინდელი მღვდელი კი, — უკაცრავად ვარ იმათთან, — ჩინოვნიკია, იგი ნამდვილი ბიუროკრატია, **ოცის კაცად** გამხდარი, კისერში აწევს სოფელსა და მოძღვრობის მაგივრად ჩარჩობს-ვაჭრობს ორნაირად — სულიერად და ხორციელად.

ს. მაგლობლიშვილი.

(*) ყულევს ეძახდნენ **რედუტ-კალესა**, მდებარეობს შავის ზღვის პირად, ხორგის მდინარეზედ, ფოთიდან 14 ვერსის მანძილზედ, ჩრდილთეთად ფოთისა,



ჩ ვ ე ნ ი ბ ე დ ა გ ო გ ე ბ ი

პირ მოთხოვნის, მოლაღობის
და ორპირობის მომხატე ნიჭი,
რომ ვიმოქმედო ჩვენს ქვეყანაში
და თან-და-თან წინ წავდგა ბიჯი.

აკაკი.

დიდად გვიკვირს, როდესაც ზოგიერთი უცხო პედაგოგები „კუსტინოვიჩის“ სახით ჩვენს ენას ძალღერს უწოდებენ და მის სრულ განდევნას მოითხოვენ სკოლებიდან! ეგ არ არის ისე საკვირველი. „კუსტინოვიჩების“ მიზანი ვინც თვალ ყურს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას, მისთვის დიდი ხანია, აშკარაა.— უარყოფა საღ პედაგოგიურ პრინციპებისა, კაცთ-ქამიანობის დანერგვა სხვა-და-სხვა ერთა შორის, სხვისი ყოველივე კარგის უარყოფა და თავისის გაღმერთება, აი, იდეალი ამგვარ კაცი-ქამიან პედაგოგისა! მაგრამ მე ოდნავ არ მიკვირს „კუსტინოვიჩების“ გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენში სავალალოა და სამწუხაროა ქართველ პედაგოგების გაუკულმართების გზაზე შედგომა!— იშვიათად ნახავთ ჩვენში ქართველ პედაგოგს, რომელიც ღირსეულად იცავდეს თავის მშობლიურ ენას და მის წარმატების საქმეს ემსახურებოდეს. ჩვენს სკოლებში ითხოვენ რუსულ ენის სწავლების საქმეში გაბატონებას. და ვინც შესძლებს ბიუროკრატ პედაგოგთა დასახულ მიზნის მიღწევას, მას დაწინაურებასა და წარჩინებას აძლევენ. ქართველი პედაგოგები (ყველაზე არ ვამბობ) პირად წარჩინებას მშობლიურ ენას ამბჯობინებენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან მშობლიურ ენის დაჩაგვრაში. ბევრს ვიცნობ ქართველ პედაგოგს და ვიცი მათი უკულმართი მოღვაწეობა! სიტყვით ეს ვაუბატონები მარად ქართულ ენაზე და მის დაცემაზე გელაპარაკებიან და საქმიან-კი ერთ გაკვეთილს ორ მთავრობისაგან ნება დართულ ქართულ გაკვეთილიდანაც კი იპარავენ და სახელმწიფო ენის სწავლებას ანდომებენ წარჩინების მისაღებად. კიდევ ვიმეორებ: „კუსტინოვიჩებზე“ გაცილებით უფრო საშიშია შინაური პირმოთენე, გაუკულმართებული პედაგოგები, რომლებიც ჩვენთან კაკანებენ და კვერცხს-კი სხვაგან სდებენ.

ილია ბახტაძე.



ბედი მგოსნისა

(გაგრძელება)

დრამა ხუთ მოქმედებად

მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

სურათი I.

ქუჩა.

(ხალხი გაივლ-გამოვივლის. თომა მათხოვრობს)

თომა. უფალი იყოს თქვენი შემწე!.. მთლიეთ რამე! მადლმა დმერთმა ხუ მოგაკლათ მარად კეთილი!—

— არს! გაქვავდა ხალხის გული! არ ებრძობათ ჩემებრ უმწეო, დაგრდომილი, ლუკმის მოტყუარული უნდა დაგებრუნდე ჩემ შეილებათს ხელყარო და მშიერ-მწუერგაღნი „მამავ, გვშიან“, დაშიასებენ!

მეც უნდა ვუთხრა: მთათმინეთ! სვალ დმერთი მოგვცემს!..

ვაჭ სოფელი, სოფელი,
უღმობელი სოფელი!
თუ აქ ტანჯვა მეფლად,
რისთვის მშობე, მშობელა!—

— უფალი იყოს თქვენი შემწე!.. მთლიეთ რამე! (ხალხის სიარული შესწყდება და თომაც გადის. შემოდინან: არჩილ, დათო, ბესარიონ, გიო, თედო და სხვა მათი მეგობრები.)

ემჩნევათ საღლაც უქეიფნიათ,

არჩილ. დაის, სწორედ დღეს.. დღეს გაუუც-
სსტიკ-მუქარით სავსე წერილი | ზავნე
და ესლას მხლოდ შემთხვევას ვეძებ,
რომ მიუსაჯო მწარე სიკვდილი.

ბესარ. სწორედ რომ მეხი დაადტუდებდა...
თავსა უშველს, სჯობს მოეფარას;

გიო. რომ არ მოგვშორდეს?..

ბესარიონ. მაშ სამუდამოდ
ამ წუთისოფელს გამოეთხოვოს!

არჩილ. აბა წავიდეთ, ღვინო დავლით
და გაბედულად კვლავ ვიმოქმედოთ!
ღვინო, ხომ იცით, სულსა ახარებს,
თან სამოქმედო გუფს აფრთოვანებს!

დათო. არა და არა, უნდა გამოვტუდე...
მე აღარ ძალმიძს მეტი მთმენა;

წინ აღუდგები მე თქვენ სურვილებს...
ნებას არ მოგცემთ მოჭკვლათ მართალი!
და მე რე ისიც ჩვენი მგოსანი!

ეს ხომ იქნება პარბაროსობა!
ევაუმს გაჯიჯინოს ედემის ვარდი.

სად გაცონიდა, ან სადა თქმულა?
არჩილ. როგორ? განა შენ წინ აღმიდექი?

ეს, მეგობრებო, მოღალატეა.
დათო. დაის! მე თქვენი მოღალატე ვარ!
რისთვის არ გიკვირთ ან რომ აღმენს ხანს
მე თქვენთან დაგრიბი—ავაზაკებთან?

(ისმის უკმაყოფილო ხმები)

ავაზაკების მოღალატე ვარ,
მაგრამ ერთგული წმინდა საქმისა!—

— როდესაც მითხარ შენი განზრახვა,
თავბრე დამესხა, ვიწვე კანკალი;
„მიძიე განზრახვას წინ აღუდექა!“
ჩამრჩურჩულებდა სმა იდუმალი!

და აღარ ვმაღავ, აწ ვადგვიარებ,
ნიკოს მფარველი მე თვით ვიქნები;
შენ დაგავიწყდა: უხეში ძალით
ქალის სიუფარულს ვერ ედიარები.

ყველანი მოღალატე ხარ, შემარტყვენ-
ლი!..

დათო. დე, მაგრე იყოს! მაგრამ ერთს
გკითხავთ:

რა ზასუხს გასცემთ ერთს მკვლავიარეს?
ნუ თუ თქვენ ამ დროს არას განიცდით? —
შეგახვენებენ ხომ ყოველს მხარეს?
თქვენ ნიკოს მოკვლა კარდგოწვევითაო,
მაგრამ რისთვის, რის გულისათვის?
ადვისიფხართ შურით, ბოროტი სული
მიგოეიდინათ ეშმაკისათვის.
უგუნურებო, რისთვის არ ჰქედავთ,
რა მერაღ წუმზეში ისვრით ხელეხს!
თქვენ აჭყლიფხართ ამ ბოროტ გველს
და მე შეძახით მოლაღატეს?
გონს მოდით, ერმანო! ქურდულად მოკვლა
ჭკვათა მეფეთაგან დასაგმობია;
მეც სისხლი მიჩქეფს და შურს ვიძიებ.

არჩილ. მოლაღატეს, მოკვლათ სჯობია!
ყველანი. მოლაღატე ხარ, შემარცხვენელი!

დათო. ეური დამიგდეთ! აგკესლიანს ნუ აჭყლი-
მისი სურვილი, გაუქნითილი შურით და შხამით | ხართ!
ვითა უორანი თავს დასჩხავის სხვას მიწით ადგვას!
სისხლი სწუურანს, ვით არწივსა ფრინველთა მხატვრულს
და თქვენ კი ამბობთ: რად აღუდექ წმინდა სურვილისა?

არჩილ. ვაშა, მეგობარს ძმად გაფიცულეს!
შაბაშ, შენ საქმეს აწ უმეტრულეს!

დათო. მე ბარბაროსი მიქულს მეგობარი.

არჩილ. გაგისწორდებო ხმალი სხარა!
სიკვდილი მაგას, თორემ გვიმუხთლებს
გაგვცემს! გაჩენის დღეს გაწვევდინებს!
(ექვსნი, შეიღნი დათოს მხარეს გადავლენ
და იტყვიან)

ზოგნი. ჩვენ რა მიგიხვდით ბოროტგანს-
რახვას,
დათოს ვემხრობით, თავსა განებებთ...

არჩილ. მაშ თქვენც გვლაღატობთ! ბედს
განაგებთ!
(ორივე მხრიდან ხმლებს იშიშვლებენ.
დათო მომხრეების წინ იბრძვის.)

დათო. ვფიცავ მარჯვენას, არ შეგიდრეკე-
თუნც მარტო ერთი შეგებრძობებით! | ბით,
(შეიბრძოლებიან, დათო ერთს მოწინააღ-
მდეგეთაგანს დასჭრის. სხვები უკან დაი-
ხევენ.)

(მომხრეებს) ჩაიგეთ ხმლები! (მოწინააღ-
დეგეთ) თქვენ ლხარები ხართ!
არა ხართ დირსნი ვაყვაცთ ბრძოლისა!

(დაჭრილს) ჰოი საბრადოვ, მე არა მსურდა,
შენი უმანკო სისხლის დახთხევა!

(არჩილს) იუავ წყეული, რადგან მიზეზი
შენ ხარ მხალფად ამ მკვლელობისა!

(გალიან. უკან გიო და ექვსი სხვა გა-
ჰყვება)

არჩი. ოჰ დაძვინებო! ჰოი სირცხვილო!

ცა რატომ რისხვით არ ჰქეხს და ელავს?
იმას მიემხრო თქვენგანი სხვებიც...

ხომ გვიმუხთლებენ, გაგვცემენ უკვლავს?
რად, რას სდგენხართ? ეს მეგობარს

ძალიან მძიმედ დაჭრილი არი!

წაიფხანთ შინა! მგონი თქვენგანი

დასტაქარია... კარგად უწამლეს;

რადღას სდუმხართ? წაიფვათ ჩქარა,

ჩვენ ამ ყოფაში არავინ გვენახოს!

თედო. გაციებულა!

ბესარიონ. როგორ? მომკვლარა?

თედო. სამუდამად დასძინებია.

არჩილ. მაშ ჩვენ ამ ადგილს, მეგობარნო, რადღას
ვუდგევართ?

წადით, წამოდით აქეთ-იქით, დაიშალენით,
თორემ ჩვენ მაგის მკვლელობასა დაგვაბრალებენ.
ეს აქ დავტოვოთ! დე, სხვებმა რაც უნდ იფიქრენ,
თუნდ სულ უბრალოს ეს მკვლელობა გადასაბრალოს,
სულ არ ვინადვლებ, ოღონდ ჩვენ კი ბოროტს გადავსცდეთ.
(ქუჩის კუთხეში მიჰმალოვენ და აქეთ-იქით იფანტე-
ბიან. შემოდის ნიკო წერილის კითხვით. უკან თომა
მათხოვარი მოსდევს.)

ნიკო. მე არ ვიტყვი: დროს შეიღი ვარ,

რომ მასხედან გავდო ხილი,

შეუუერთო ჩემს სამეფოს

მანიჩვი და გულით ფილი!

ავადმეოფი, გესლით სავსე

აღთქმულ ქვეყნად ვერ იფარგებს;

ქვემდროში თუ ხვრელს მოშორდა,

ნათელს დაჭკმობს, ივალალებს!

დაიშხვრევა იგი კერზი,

რომელს ფუჭს ამადლებენ;

დამზადს სულს დიდის ცდითაც

ვედარას გზით განახლებენ;

ჩემს სამეფოს—მზის სამეფოს,—

მლიქვნელები არ ეჭირვება;

(წერილს გადაჰფურცლოვს და მას უბა-

სუხებს.)

ისისინეთ, ბნელს ჭაბში

მოიკალით ბილწი ვნება,—

მაგრამ წრძოდეთ! მაწია

თქვენი ჟამის აღსასრული;

ძველს ხავრეგზედ ამენდება

სახელმწიფო შეკებით სრული.

ვერ გამოიგია თავი და ბოლო!..

რა უნდა ბოროტს, რას იწერება?

თომა. უფალი იყოს შენი შემწე, შენი

მფარველი! გებრალბოდეს დავრდომილი...

მოიდგე რამე...

ნიკო. რა გულსკავად იძახის სიტყვებს,

გულს ცუდს რადღას მით აგრძობინებს!

აჰა, მახუცო, მიიდე ქისა!

შიგ ფული არის და მთინმარე. (ქისას აძ-

ლევს)

თომა. უფალი იუოს შენი მთარგული,
დავრდომილს მხოლოდ შენ დამეხმარე.
აი აქ, შეილო, მთელს დღეს ვაღამებ,
მაგრამ არავის გაუკითხივარ;
ღმერთმა კეთილი ნუ მოგიშლას,
უმწყეთ მთარგული შენა ჭეფიფილხარ!

ნიკო. რაღა, მოხუცო? განა არა გუაფს
ან და, ანუ ძმა, ან ნათესავი?

თომა. მეფანდა და უველას გამოვეთხოვე,
დამრჩენ შეილები და ჩემი თავი!

დედა კელახან კარდაეცვალათ,
უფროსი შეილი ჭლექით თან მიჭეკა...
ის ერთად-ერთი ნუგეში იყო
და ზეციერმა არ შეიბრალა.

ეჭ სიღარიბემ მოგვიღწა, შეილ!
თუმც მიმეკვლელება მე მათხოვრობა,
მაგრამ ცხოვრება ძალას მატანს
და მეც ვმათხოვრობ! როცა კი მდიდარს
ვთხოვ მოწყალებას და ზურის ლუკმას.—
ხელს მკრავს ხელზე: ღმერთი მოგცემსო,
როგორც აძლედა ებრაელებსო!
მათ შევადიე ჩემი ძაღლანე,
ასე უძღური ადრე შევიქენ;
დღეს მოხუცებულს და დონე მისდილს
უგულებულს ბედერულს შეოფენ.

ნიკო. ჭიი საბრალდო, რა გრძობით ამბობს,
მთლად ამიურყოლა გულის ვნებანი;
გამოცდილებას უსწავლებია...
კაცსა სწრთუნის დიდი გაჭირვებანი.
(ამ დროს არჩილი შემოვა და კუთხეში
მიიმალება. თომა და ნიკო ჩუმად რალა-
ცაზე ლაპარაკობენ.)

არჩილ. ნიკო აქ არის ჩემი მეტოქე...
ვიღაც მათხოვარს ებასება;
ხალხიც არ არის, კარგი დრო არის ..
ჩემი განზრახვა აწ აღსრულდება.

თომა. ჭმ! არა გამაღობ!..

ნიკო. მე გთხოვთ წამომეყე

თომა. დიდათ გამაღობ!

ნიკო. შინ არავინ მუაფს, კარდა ერთგული
მეგობარისა. შენც და შეილებიც
ჩემთან იცხოვრებთ... შენ ბედსა სჩივი...
სტირი წარსულზე... სტირი. რომ ქვეყნად
უსამართლობა გაშეფებულა,
მაგრამ ნუ გინდა... რისთვის აშოთათებ
შენ მოხუც სულსა? დე «მომავალი»
იმედი იუოს და სიხარული შენი შეილები.
წამოდი ჩემთან!.. ათის წლის ძველები
მამიჩემისა ხარც შეისხავენ
და იმის სხით მომეკვლინები.
და შენც, მოხუცო, ისე მიმიდე,
მითამ და შეილი გატაცებლებია,
აბა წამომეყე..- ჩემთან იცხოვრეთ...

მე შენს შეილებსაც ძმებად მივიღებ.
(წასვლას აპირობენ. ამ დროს არჩილი მივბარება,
ხინჯალს ჩასცემს და გაიქცევა.)

ნიკო. მიშველე!.. ვაი! მოხუცო, უველადი!

თომა. რა მოკდის, შეილო? მითხარ, ვინ
მისი სახელი გამაგებინე... | გიმტრო?

ნიკო. იქ.. იქ. მიშველე... თვალით
მიბნელებს.

თუ შეგიძლიან, მიშველე რამე... (კვდება)

თომა. აგერ, ეს სისხლი გუდიდამ დასდის...
(ყვირის)

გვიშველეთ, ხალხო! მოჭკლა, გაიქცა!
(შემორბინ პოლიციელნი და შემდეგ ხალხი მოიყ-
რის თავს)

პოლიციელნი. რა ამბავია, ვინა ჭევიროდა?

თომა. განა არ ხედავთ ამ საცდავს?

პოლიციელი, ვინ მოჭკლა, გვითხარ!
აი, შეორეც...

ეს ბორბტებს ვინ ჩაიღინა...

ხალხი. — რა ამბავია ორი მოხუცავთ...

პოლიც. ვინ მოჭკლა. გვითხარ გაგვაგებინე!

თომა. ვიღამაც მოჭკლა, თვითონ გაიქცა...
მაგ მეორისა არა ვიცი-რა!

პოლიც. არა, ეგ სტუეის! ენას ვერ აგებს,
თვითონ მოჭკლავდა და სხვას აბრალდებ.

ეგ ჯიბგირია... ავასავია...

ხალხი. აბა გაუჩხრიკოთ! ნაცარცვს
გუზოვით! (სჩხრეკავენ)

თომა. უაზროდ ნუ სჯით, ბნელ ხეფს ნუ
ჭდაძავთ,
რამეღიც გეტყვით, რასაც ჩასძახავთ.

შე რად მბრალდებთ კაცის მკვლელობას...

ხალხი. ქისა გუზოვით... თუღით სავსეა...

ყველანი. ქისა ვისია?

თომა. ამან მახუჭა, სანამ მოჭკლავდნენ.

პოლიც. არა, ეგ სტუეის, თავსა მართ-
აბა, თოკები, შეჭკარით მაგრა. | ლულობს!
სხვა მეგობრებიც მას ეუფლებს!..

თომა. შეჭხედეთ მადლა, იწამეთ ღმერთი!
ნუ გინდათ ცოდვა! მე შეილები მუაფს!

საით მიგეყვართ... მე არ მომიკლავს!
(თოკებით ხელებს შეუკრავენ. ორი პო-
ლიციელი განზე გადადება)

პირვ. პოლიც. თუნდაც რომ მართალი
იყოს, ხელიდან

გამეკება ეოვლად შეუძლებელია.
მეორე პოლიც. (თავს აქნევს)

პირვ. პოლიც გამოგანე! ჩვენ საბუთები
გვაქვს დავაბრალდეთ მკვლელობა და მამსადაძე
ჩვენს საქმე განარსულის. ხალხიც დაგვემოწ-
მება! მკვლეელი აღმოვაჩინეთ, მაგას ამსახაგე-
ბი სხვაც ეუფლება. უფროსები დაგვაჯილდო-
ვებენ. მაგას გადავაბრალდეთ, თორემ გვეტ-
ყვიან: ხომ არ გძინავთ, რატომ მკვლეელი
ვერ აღმოვაჩინეთ!

მეორე პოლიც. ჩინებული აზრია!
(თომა შებოქილი გაჰყავთ. დახოცილთა გვაგებიც გააქვთ. სცენა ცარიელდება. შემოდის დათო თავის მეგობრებით. შემდეგ ირაკლი.)

დათო. მას, მოჰკლას, მოჰკლას!
გიო. აქ დანთხეული სისხლიც ამტკიცებს!
დათო. გიო, წადი და ირაკლი ჰხანკე.
გიო. აგერა, ისიც აქეთკენ მოდის.
დათო. ოჰ სასიზღვრებაჲ! მოჰკლას

ქურდულად!

რა ზასუნს გავცემთ შთამომავლობას?
ქვეყნის წინაშე თავს ვით ვიმართლებთ,
მხინჯთა შვილთა დაგვჭრეს ყელები..?
ქველი აგვიგეს შემარცხველი!

(შემოდის ირაკლი).

— რაც დაგაბარე, ნიკოს არ უთხარ?

ირაკლი. არა! მას ვუკებ და ვერსად ვზოგე.

დათო. დიახ, შენ იმას ვეფარსად ჰზოგებ. ის მოჰკლას მტრებს! მოჰკლას ქურდულად!

ირაკლი. (ელდა ნაცემი) ის მოჰკლას? ვინა? ვინ გაჰბედავდა?

ხომ არ მატყუებთ?— ვინ მოჰკლას, მითხარ!

თქვენს ხომ თავლებში ცრემლები მოგდით, მას რად არ ამბობთ ვინც არის მკვლეელი?

ახ, ნუ აუფანებთ, მითხარით ჩქარა,

ვინ არის სისხლის უღვთოდ დამღვრელი?

იუდა ვიყო, ძმათ გამეიდგელი, | (სტირის)

ვიყო ვეკლასგან შეჩვენებული, —

თუ შე ვაცოცხლე მეგობრის მკვლეელი,

თუ არ გაუშე შუახედ გული.

ჰოი გუდდრძყო, ბორბოტო სულო,

მიწაში ჩასძვრე, აჭფრინდე ცაში, —

მაინც გიზოგი, ვერსად წამიხვად,

ჩემს მახვილს გაგზან შენს ცოდვილს სისხლში.

დათო. ჩვენც შენთანა ვართ! მოგვეცი ხელი,

აქ დანთხეული უმანკო სისხლი

ვეკლას გვამხნეებს შურის ძიებად!...

ყველანი. შური ვიძიოთ! სიკვდილი

ბორბოტს!

დათო. აბა შევეიცოთ და სდაც ვზოგოთ, გული გაუბოთ, ადარ ვაცოცხლოთ!

ყველანი. სიმართლისათვის ყველა თავს დაუდებთ! (გადიან)

ა. შანშიაშვილი.

ფ ა რ დ ა.



საერო სიმღერის მეგობართ.

ბევრი, ბევრი ჩვენსავით დაბეჩავებული, დავრდომილი და დამონავებული ერი განიცდის რუსეთის მთავრობის ტლანქ და ზორზოხ პოლიტიკის უმადურობას და სიღუბნეობას, ბევრი ჰკენეს და ობ-

რავს მის აუტანელ უღელ ქვეშ. მიუხედავად ამისა ამ დაბეჩავებულ ერთა მოწინავე, რაზმს არავითარი სისასტიკე არ აბრკოლებთ; პირიქით — წინასწარ განსაზღვრულ, აწონილ-დაწონილ პოლიტიკური მისწრაფებით, რაინდულ გაბედულობით და დაულაღავ თავგანწირვით ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ თავიანთი ხალხის გათვითცნობიერებას შეუწყონ ხელი, აღამაღლონ მისი კაცური კაცობა, აღზარდონ მასში თავისუფალ მოქალაქის ღირსებები და უაღრესად შთაუწერგონ მას გულში დავრდომილ სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარული და პატივი. ცხოვრების მოვლენათა რომელ დარგს წაატან ხელს, რომ ამა ხალხთ მოჭირისუფლეთ არ ეცადოთ შემორე აღნიშნულ მიზანთა მისაღწევად!

ერთი ამ სულიერ ცხოვრების დარგთაგან, რომელსაც მათ ესე ბეჯითად წაატანეს ხელი და იყენებენ საუცხოოდ ხალხის გაბოსაფხიზლებელ გრძნობათა აღსამაღლებელ და განსასპეტაკებელ იარაღად, არის ხალხური სიმღერა. შორს გამსჭვრეტელი პოლიტიკური სიბრძნე ჩასჩურჩულებდა ამ ერთა მოჭირისუფლეთ ყურში, რომ ისე ღრმად ისე მკაფიოდ და მასთან ისე ნაზად, გრძნობიერად არა აკავშირებსრა ადამიანს თავის თვის-ტომსა, ხალხსა და სამშობლოსადმი, როგორც წყნარი, უვნებელი და არვისგან უმჩნევი ხალხური სიმღერა. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ საერო სიმღერა არამც თუ შეიძლება გარდიქცეს ხალხის გათვითცნობიერების და გრძნობა-გონებათა ფრთა შემსხმელ დრომად, არამედ იმ ელემენტადაც, რომელიც უაღრეს დიპლომატიურ მოსაზრებებზედ უფრო მტკიცედ აკავშირებს კაცთა საზოგადოების სხვა და სხვა გვარ და ტომობრივ განსხვავებულ-დაქსაქსულ ელემენტებს, რომ მას უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თანაგრძნობისა და სიყვარულის გამოწვევა-განმტკიცებაში, როგორც კაცის სულიერ ძვრათა სამფლობელოდან წარმოშობილ ელემენტს, იმ საიდუმლო ჩვენი არსების საფლობელოდან, სადაც პირველად ჩნდება და ისახება სიმპატია და ანტიპატია.

ხალხური სიმღერის პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოსვლა იწყება ჩვენებიდან. ეს ერი ჩაკეტილია შიგ შუაგულ გერმანელთა მასსაში. რკალივით შემორტყმულ გერმანელებს ნიშანში ჰყავდა ამოდებული შრომის მოყვარე, მუყათი, სამშობლოს მოტრფიალე ჩეხი; ყოველის მხრიდან, ყველა დარგში მთავრობას დაუცხრომელი იერიში მიჰქონდა და ჰაბსბურგის პოლიტიკა ამ ერთ მუქა ხალხს შთანთქმას უპირებდა. სამშობლოს სიყვარულით თავდავიწყებულმა ჩეხმაც სამშობლოსზედ მოწოლილ მტერს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. ჰკვიანი და შორს გამჭვრეტელი ხალხი თავის ხსნას კულტურულ დაწესებულებების აღზრდა — გამრავ-

ლებაშიდა ხედავდა, მათ დაიარსეს აუარებელი საზოგადოებები, რომელთა მისწრაფებაც ხალხის კულტურული ზრდა იყო და ამით, აცდენა იმ მოღერებულ ხმლისა, რომელსაც მთავრობა ულესავდა მათ. ამ საზოგადოებათა შორის აღორძინდა **ჩეხის ნაციონალური მომღერელთა საზოგადოება „გლაგალი“**. ამ საზოგადოებას მიზნათ ჰქონდა აემოძრავებინა ხალხური მელოდია იმ სანეტარო ტკბილის ენით, რომელიც დედის აღერსთან ერთად მოუთხრობდა მოყვასისა, ხალხისა და სამშობლოსადმი ღვთაებრივ სიყვარულს. დააარსეს რა ეს საზოგადოება, შეუდგნენ პროვიანციასა და დაბა ქალაქებში განყოფილებების გახსნას; მთლად, კიდითკიდევმე ჩეხიას ამ საზოგადოების განყოფილებანი ქსელივით მოედო და ბოლოს იქამდის მივიდა. რომ ყველა, ცოტად თუ ბევრად დიდმა სოფელმაც კი განაცხადა სურვილი ამ საერო საქმეში მიღებისა. ყველა განყოფილებების დროშას ერთი და იგივე წარწერა ამშვენებდა: „Spivem k sprdcem k Serdomk vlasti“ — სიმღერა გულს ესობის, გულით სამშობლოსთან — ეს იყო და არის უმთავრესი დედა აზრი ამ სადღეიზოდ წარწერილ წინადადებისა. ამ წერილში არ ძალგვიძს აღწეროთ, მოკლედ მაინც, ის დიადი მნიშვნელობა, რა გავლენაც იქონია ამ საზოგადოებამ დაჩაგრულ, დამონავებულ ხალხის ცხოვრებაში; ძნელად წარმოსადგენია ეხლა. რომ შინ, თუ სამშობლოდან გასული ჩეხის გლეხი ამ საზოგადოების წევრი არ იყოს და მის სადღესასწაულო ტანთსაცმელს ამ საზოგადოების ვენზელი ზემორე მოყვანილ წარწერით არ ამშვენებდეს.

ხოლო ამას კი ვიტყვი: მიხვდა მთავრობა, რა მახეც დაეგო მის ვერაგ პოლიტიკას, მაგრამ გვიანდა იყო, ჩეხის დედა-ქალაქ—პრაგაში ამ საზოგადოების მიერ გამართულ სამუსიკო უქმეებს მთავრობა ბევრჯელ გადაეღობა წინ; პროვინციებიდან კი „გლაგალის“ ხელმძღვანელთ მისდიოდათ აუარებელი დეპეშები და, სადაც მთავრობის ტელეგრაფის მოხელენი უარს ეუბნებოდნენ ცნობების გაგზავნაზედ,—საგანგებო მოციქულები: „აუწყეთ ჩვენ ბრძანებლებს, რომ ის მთმვრობა, რომელსაც ეშინიან ჩვენი სიმღერისა, ქალაქისგან აგებული ხუხულა ყოფილა,—და სხვა არაფერი; გვაუწყეთ, გვიბრძანეთ, თუ საჭიროა და როგორც ერთი კაცი, ყველა გაახლებთ თავს «გლაგალის» სადღეგრძელოთო.“

„გლაგალის“ დიადი მნიშვნელობის ისტორია ამაში უნდა გამოიხატებოდეს! მაგრამ, არა! სრული არ იქნებოდა იგი, თუ შემდეგიც არ დაუმატეთ: ჩვენს დროში „გლაგალის“ მიერ გამართულ სამუსიკო უქმეებზედ გზავნიან ხოლმე ხოროს ქალაქები და სახელმწიფოებიც კი—ბერლინი, ჰამბურგი, დრეზდენი, პარიჟი, კოპენჰაგენი, ბრიუსელი, ამს-

ტერდამი და სხვ., რათა ამ უქმეებზედ იმღეროს მათმა ხორომ და მიიღოს ან ქებისა და აღიარება საერთაშორისო ჯილდო.


კარგი მაგალითი ყოველთვის წასაბაძია, კერძოთ ჰქვიანი ადამიანი, თუ შორს გამქვრეტი ეროვნული პოლიტიკა ყოველთვის წაჰბაძებს აწონილ-დაწონილ, მრავალჯერ ნაცად მაგალითს და გადარგავსთვის ნიადაგზედ საჭირო ნაყოფის გამოსაღებად, ვინაიდეგან მიბაძვა არც ისე სძრახი და გასაკილია, როგორც ზოგიერთ მამულის შვილსა ჰგონია ხოლმე.

ერთის მხრით—ავსტრიასა და გერმანიასა და მეორეს მხრივ—რუსეთის მიჯნებზედ სცხოვრობენ რავდენიმე პატარა ერები: ესტონელები, ლიტველები, კურლიანდიელები და ლატიშები; ერთ დროს მათი პოლიტიკური ცხოვრების ჩარხი ისე უკულმა დატრიალდა, რომ რუსეთის სამფლობელოში ამოჰყვეს თავი და მათ მყუდრო ტერიტორიაზედ გამეფდა რუსეთის მბრძანებლობა. ყოველი ძალის მოკრეფა უნდოდათ, უნდა ამოორავებინათ ყველა ნაცნობი და უცნობი, ნაცადი და უცდელი იარაღი ამ ბრძანებლობის საწინააღმდეგო კედლის ასაგებად, რომელზედაც გამანადგურებელი უგულო პოლიტიკა შუბლსა და ტვინს შეახეთქვდა. აი ამ პატარა ერებმა მიბაძეს ჩეხელებს და მესამოცე წლებში შექმნეს „გლაგალის“ მინაგვარი საზოგადოებები, რომელნიც წყნარის, მაგრამ ნამდვილი იარაღით გამოდიოდნენ კარზედ მომდგარ უსამართლობასთან საბრძოლველად.

აქამდინ უარყოფილი, არვისგან ქებული, დავრდომილ-დაბნეწვებულ გლეხკაცის ქობში დაბადებული და მისივე სისხლითა და ოფლით აღზრდილ-მონათლული ხალხური სიმღერა ეხლას საჯაროდ პოლიტიკურ ასპარეზზედ სამოქმედოთ გამოჰყავდათ. ეს მომენტი დიდებული მომენტი იყო ამ პატარა ერთათვით შეგნების პირველ ხანაში; ამ მომენტში ჩამოიკრა საერო სიკვდილის დამთრგუნველი გლოვის ზარი, რომელიც იწვევდა ყველას,—ხალხის მოკეთეს და სამშობლოს შვილს მკვდრეთით აღდგომისაგან.

შორს წაგვიყვანს ამ საზოგადოებების პირველ ნაბიჯის გადადგმის აღწერანი, ხოლო კი საჭიროა ითქვას, რომ ბევრი სიბრთხილე, ბევრი დაჭირება და დევნა-წამება გამოსცადეს მათმა წინამძღვრებმა მიზნის მისაღწევად. ამ წინამძღვართა დაუდალავმა და დაუცხრომელმა, თავდავიწყებულ მუშაობით გატაცებულმა მოქმედებამ დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრების კარამდე მოიყვანა ეს დიადი საერო საქმე და, აი, დღეს იგი სდგას ბუმბერაზად წარბშეუხრელი, რომელსაც არც დრო და ჟამი და არც ძალ-მომრეობა ვერ შემუხრავს და ვერც შეადრკენს.

წარსულთვის შუა რიცხვებში, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ესტონთა, ლატიშთა, ფინლიანდიელების და სხვა ერთა ხოროთა საზოგადოებებმა გამართეს ეგრედ წოდებული სიმღერათა დღესასწა-



ულები; სატახტო ქალაქების მოწინავე გაზეთებმა, — „რუსსკია ვედომოსტი“-მ, „რუსსკოე სლოვო“-მ, «რჩე»-მა და სხვამ, წარგზავნეს ამ სიმღერათა დღესასწაულებზედ თავიანთი თანამშრომლები, რომელთაც განსაკუთრებული ვრცელი წერილები უძღვნეს ამ, — რუსეთში ჯერ უცნობ, — დღესასწაულებს. მოიხსენიებენ რა მოწიწებით ამ ხალხების ზნე-ჩვეულებას, ივინი ერთხმად დაასკვნიან, რომ ესე გამართული უქმეები არამც თუ უბრალო გასართობი, ანუ სასიერო რამეებს წამოადგენენო, არამც თუ ნაციონალურ მოძრაობის, ხალხის გამოფხიზლების, გათვითცნობიერების შედეგ მანიფესტაციად უნდა იქმნენ იგი მიჩნეულნიო, არამედ ოდესღაც მონობაში მყოფ, აწ თავისუფლებისთვის თავგანწირული ერის დემონსტრაციულად გამოსვლაა ეს ცხოვრების ასპარეზზედ შემპუსრავ-შემლახავ ძალის წინაშეო.

აი, ესტონიის ყველა კუთხიდან, ესტონთა დედა ქალაქ რეველში, თავი მოუყრია ასი-ათასამდე ესტონელს, — აგვიწერს „რუსული უწყებები“-ს კორესპონდენტი, — ისე დინჯათ, ისე წყნარად და დიადი თავის ღირსებით აღვსილნი მიდიან ქუჩაში თავიანთ ბაირალბით და ნიშნებით დანიშნულ ადგილისკენ, რომ გვეგონებათ, წმინდა საიდუმლოთა აღსასრულებლად გამზადებულანო. გაზეთის კორესპონდენტი განცვიფრებულია, რომ რუსეთის სახელმწიფოში, — საცა აწ იმისთანა ზომებია გამეფებული, რომ ნედლს ახმობს და ფოთოლს აყრევიანებს, — ესტონელებმა მოახერხეს ამ საერო დღესასწაულების გამართვა... მაგრამ დასძინეს კორესპონდენტი, ესტონელთა მოწინავე რაზმის სურვილს რა გადაჭლობებია წინ! მას უნდოდა მოზღვავებული თავისი საყვარელი ხალხი ენახა კიდევ ერთად, ერთის ერთ შედუღებულნი, ერთის გრძნობით გატაცებულნი, ერთს ფიქრსა და მიზანში გამონაკენი და მიაღწია კიდევ ამ სურვილსაო. როგორც გვამცნევენ გაზეთები, არც ისე ადვილად მიუზღვებიათ ესტონელებს მთავრობისგან ამ დღესასწაულის გამართვა და, სანამ თავიანთ მიზანს მიაღწევდნენ, ათასი დაბრკოლება გადალობებიათ წინ. 1909 წ. შინაგან საქმეთა მინისტრს დაურთავს ნება ამ უქმეების გამართვისა, მაგრამ ადგილობრივ გუბერნატორს შესაძლებლად ვერ უცვნია და მინისტრის ნება-რთვა შეუჩერებია 1910 წ. იანვრამდე. თითქმის „სიმღერათა უქმეების“ დროს უნდა მომხდარიყო ესტონელთა განმანათლებელ საზოგადოებების წარმომადგენელთა კრება, მაგრამ მთავრობას ნება არ დაურთავს. მთავრობამ აღუკრძალა ესტონურ ენაზედ სიტყვების წარმოთქმა სიმღერათა უქმეებზედ. შეცვლილი იქმნა აგრეთვე გუბერნატორის ბრძანებით იმ სიმღერათა ლექსებიც, რომელიც აღნიშნულნი იყვნენ პროგრამაში აღსასრულებლად; მაგალითად: ერთი სიმღერის ლექსი: „სამშობლოში სიკვდილიც მიხარის, სხვა მხარეს ბედნიერებასო“ გუბერნატორმა

შეაცვლევინა: „ბრწყინვალედ გაანათებს მზე და დაგიფარავს ნახად მაღალი არწივის ფრთა“-ო; მეორე სიმღერაში: „თავისუფლების კალთის ქვეშ არ წარიხოცება ჩვენი ხალხი“, — შეიცვალა სიტყვა «თავისუფლება» — „მაღალ არწივ“-ად და სხვა; აეკრძალა ქალაქის თავს მიელოცნა უმთავრეს კომიტეტისათვის ესტონურ ენაზედ; ამ დღესვე უნდა ეკურთხებინათ ესტონთა სახალხო სახლის საძირკველი; საძირკველის კურთხევის ნება დართეს, ხოლო არავის უნდა ეთქვა სიტყვა სამშობლო ენაზედ; შეედლოთ ეთქვათ სიტყვა რუსულად და შემდეგ გადაეთარგმნათ ხალხისთვის გასაგებ ენაზედ. უმთავრესი კომიტეტი ამაზედაც დასთანხმდა, მაგრამ ბოლოს გამოიკვა, რომ არც ამის ნება დართეს მთავრობის მოხელეებმა. ამნაირად თეატრის აგება და საძირკველის კურთხევა მთლად გადადებულ იქმნა.

სიმღერათა უქმეებში მონაწილეობა მიუღიათ თითქმის 13000 მემუსიკეს; აქედან 9000 მოღერალი ყოფილა; ამ 9000 მომღერალთა რიცხვში 1500 ბავშვი; მარტო საკრავებზედ დამკვრელი 1600 კაცი ყოფილა. დიდებულ სანახავს ასწერენ გაზეთები: თითქმის ერთი საათი უნდა მდგარიყავ, რომ პროცესიის ბოლოსთვის დაგეკრათ თვალი; პროცესიაში მონაწილეობას იღებდა 600 ხორა, რომელნიც სხვა და სხვა კუთხიდან იყვნენ მოსულნი; ყოველ ორასსამას ნაბიჯის დაშორებით პროცესიას მიჰყვებოდა ორკესტრი, რომელიც საკუთარ მარშს უკრავდა.

ახლა ვიკითხოთ: განა ადვილი საქმეა ეს ამოდენა ორგანოს მწყობრად ამღერება? მაგრამ სიმღერათა უქმეების უმთავრეს კომიტეტს ამისთვისაც ეზრუნა.

ქალაქის გარე, თვალ გაუწვდენელ მინდორზედ, აეგოთ უზარმაზარი ფარდული ხოროსა და მსმენელთათვის; ეს ფარდული, ზოგაერთი კორესპონდენტის სიტყვით, ასი-ათას კაცს ჩაიტევდა; მარტო დასაჯდომი ადგილი ოცი-ათასს აღემატებოდა; ფასი დასაჯდომ ადგილებისა 2 მ. 35 კ. და ფეხზედ სადგომი — 20 კ.; ეს შემოსავალი უნდა მოხმარებოდა სწორედ ზემოხსენებულ სახალხო თეატრს, რომლის კურთხევაც არ შესდგა მთავრობის მოხელეთაგან გამოწვეულ ზოგიერთა მიზეზებისა გამო. ამ რაოდენიმე ათას კაცთაგან შემდგარ ხოროს ლოტბარობა და სამოცდა სამეტის წლის მოხუცი ვირკვაუზი, ის მოხუცი, რომელსაც ესტონელთა მემუსიკეების მამას უწოდებდნენ, და არის დამწყობი ამ დიდებული საერო საქმისა; იგი თვალით უმზერდა ამ გასაოცარ სურათს, რომელიც აღმოცენებულიყო ოდესღაც მის მიერ დათესილ მარცვალზედ.

ამ სიმღერათა უქმეების მოსმენამ, დასძინეს „რუსული უწყებები“-ს კორესპონდენტი, არა ერთი საინტერესო მუსიკალური მომენტი აღბეჭდა ჩემს ხსოვნაშიო, მაგრამ ბრწყინვალედ, დიდებულად და ღრმად მოსაგონად ჩასჭრია ხსოვნაში ის, რაც გა-

თვალისწინებული არ იყო პროგრამით. ეს მომენტი იყო უზენაეს მალალი და გვირგვინი ამ უქმეებისა.

ხორაობმა და ორკესტრებმა იმდერეს შეერთების ძალით რუსული ჰიმნი და ლოტბარიც ჩამოვიდა თავის ადგილიდან. ყველას ეგონა, გათავადა უქმეებო; მაგრამ ამ დროს მემუსიკეთა ჯგუფიდან გაისმა ხმა ესტონურ პატრიოტულ ჰიმნისა „ჩემი სამშობლო“. ამ დიდებულ მელიოდისა შეუერთდა ათი ათასი მსმენელიც და ამ ზღვა ხალხმა, ქუდმოხდილმა და ფეხზედ მდგომმა, მოისმინა თავისი წმიდათა წმიდა სიმღერა, უზენაეს ენტუზიაზმით აღტაცებულმა და ღრმად გრძნობათა შეტოკებულმა. ამ მომენტს ღრმად მორწმუნე კაცი განიცდის, ტაძრად მიქცეული ღვთისადმი ლოცვა-ვედრების მისაძღვნად — ეს მომენტი უნდა ჩათვალოს ცენტრად მთლად ამ სიმღერების უქმეებისაო, — დასკვნის კორესპონდენტი.

ჩვენი საზოგადოება ისე ნაკლებ იცნობს თავის ხალხს, რომ ამაზედ ლაპარაკიც კი მეტია; მოსკოვი და პეტერბურგი უფრო ბევრს გვეტყვის ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებასზედ, მის სულიერ ცხოვრების სხვა და სხვა დარგის სიმდიდრეზედ, სანამ თბილისი და ქუთაისი. სულიერად ისე დაღაჩრებულნი და განადგურებულნი ვართ, რომ ჩვენი განმათლებელსა ზოგადოებების ჩამოსათვლელად ცალ ხელზედ გამობმული ხუთი თითი იკმარებს და მათი სიმდიდრე ერთ კოჭლ კატას ეეკიდება, არამც თუ საზოგადოებების ზრდა, არამედ იმის მინაგვარიც კი, რაც ზემორედ აღწერეთ და ჩვენისთანავე დაბეჩავებულ, ჩვენისთანავე პირობებში მყოფ ხალხს შეუქმნია, არა მოგვეპოვებარა. თუ ამდენს გაძახიან ქართველ ხალხის სიმღერა-გალობის სიმდიდრის და ამ სიმდიდრის თვისებურობასზედ, ნუ თუ ან გულშემატკივრობა, ან მამულიშვილობა არ უკარხანება ორ მილიონ ხალხში ერთს მაინც, რომ შეექმნა რამე ორგანიზაცია ამ საღაროს დასაცავად, აღსადგენად და გასამშვენებლად! მაგრამ საღარა ან გულ-შემატკივრობა, ან მამულიშვილობა; რაც ყოფილა ქართველი, ის აღარ არის; ის ოჯახი, ის დიდება, ის სახელი დაგვიცვევია და მზად ვართ ნანგრევიც კი ქარს გავატანოთ.

საბრალო ქართველო, დროა შენი თავი იცნო! კარზედ მომდგარი დაჭირება და საფროხე ალესილის მახვილით ხანის დახანებას აღარა თხოულობს. თუ სურვილი გვაქვს ცხოვრებისა, თუ მომავლის იმედია, თუ გვიკარხანებს ხალხისა და სამშობლოს სიყვარული, უნდა ყოველ საშუალებას წავატანოთ ხელი საფრთხესგან თავის დასახსნელად. ეს საშუალება საერო სიმღერაა. უნდა შეიქმნას იმისთანა რამე ორგანიზაცია, რომელმაც საერო სიმღერა-გალობის ცხოველი სულით შთაბეროს ჩვენ მონურ-მორჩილ ყოფა-ცხოვრებას მკვდრეთით აღმადგენი ძალა და გადაგვახალისოს საიმედო გზის სავლელად. ყველა გზას რომში მიჰყვებარო, — თუ ეს ასეა, საერო სიმღერაც იმ დი-

ადის იდეის განმტკიცებას უნდა ემსახურობოდეს, რისთვისაც უცხოვრია ხალხს და რისთვისაც ღირს გულ-მკერდი სისხლში გაიფერო; თავისუფლებას ჩვენნი ერის ნავთსაყუდარი, იგია ყველა ჩვენი წინააღმდეგობა და საფარი. აი, ამ თავისუფლების იდეას უნდა ჰლაღადებდეს თავისუფალი საერო სიმღერა, მის გზასა და კვლის ძიებაში უნდა უძღოდეს გავერანებულ და დაბეჩავებულ ხალხს მისი დავითისებური ქნარის ზეციურ ჰანგთა ეღერანი.

ი. კ. ლი.



**ინგლისის სახელმწიფო სამართლის საფუძველი.
თხზ. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ა. დაისისა.**

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

საკონსტიტუციო სამართლის ხასიათი. ოპტიმისტური შეხედულება ინგლისურ კონსტიტუციასზე. თანამედროვე შეხედულება კონსტიტუციასზე. — განსაკუთრებული სიძნელე ინგლისის კონსტიტუციის განმარტებისა — კომენტატორი დახმარებას ეძებს იურისტ-კონსტიტუციონალისტებთან, კონსტიტუციის ისტორიკოსებთან და კონსტიტუციის თეორეტიკოსებთან. — იურისტების შეხედულება კონსტიტუციასზე. — მისი შეცდომა, — ბლექსტონი. — ისტორიკოსების შეხედულება კონსტიტუციასზე. — მისი ჩამორჩენილობა — კონტრასტი იურიდიულ და ისტორიულ შეხედულებათა შორის კონსტიტუციასზე. — პოლიტიკოს-თეორეტიკოსების შეხედულება. — მისი ნაკლულეფანება იმაშია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას საკონსტიტუციო შეთანხმებათ და კონსტიტუციის პირობითი მხარეებს აქცევს. — ასეთი შეხედულება ვერ ხსნის იმას, თუ რა შეადგენს ამგვარ შეთანხმებათა ძალას. საკონსტიტუციო სამართალი მართლადაც ნამდვილი „სამართალია“? — მას შეადგენს ორი სხვა-და-სხვა გვარი კანონი. — 1) ისეთი ბძანებანი (ნორმები), რომელნიც ნამდვილ კანონებს წარმოადგენენ, — საკონსტიტუციო სამართალი, 2) ბძანებანი (ნორმები), რომელნიც არ არიან კანონები — საკონსტიტუციო შეთანხმებანი. პირველი, ე. ი. საკონსტიტუციო კანონების მაგალითები. მაგალითები საკონსტიტუციო შეთანხმებათა. კანონებსა და შეთანხმებათა განსხვავება არ ნიშნავს ნაწერ და უწერ კანონთა შორის განსხვავებას. საკონსტიტუციო სამართალი, როგორც საგანი შესწავლისა, შეიცავს მხოლოდ საკონსტიტუციო კანონებს. — საკონსტიტუციო სამართლის სწავლება შეიძლება ისე, როგორც ინგლისის სამართლის ყოველსავე სხვა დარგისა. —

«დიდმა კრიტიკოსებმა, სწერს ოპტიმისტური შეხედულება კონსტიტუციასზე. ბრეკი 1791 — წ. ერთი რამ საუერადებო გვასწავლეს, სხეულები: რადესაც ვერა ვგრძნობთ ჩვენში ნიჭს გავიტანეთ ისეთის მწერლობით და მხატვრებით, რა-

გორც ღივილი ანუ ვირგილიოსია, რაფაელი ან მიქელ-ანჯელოა, რომელთაც აღტაცებაში მოჭყავდათ უოველი განათლებული ადამიანი, ჩვენ არ უნდა მოვისვენოთ, არამედ უნდა ვსწავლულობდეთ მათ ნაწარმოებთ იქამდის, ვიდრე არ შევიგნებთ, რითი ან როგორ უნდა ადვიტაცნეთ; და თუ ვერ შევიძლებთ ასეთს აღტაცების გამომწვევ შეგნების მიღწევას, ეს უფრო იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენს ვუოფილვართ განებით ჩლუხგნი, ვიდრე იმისი, რომ მთელი ქვეყანა სტდებოდეს. იგივე უნდა ითქვას, სხვათა შორის, ეველსაგან ნაქების ინგლისის კონსტიტუციის შესახებაც. — ჩვენ უნდა შევიგნოთ ის, რამდენად ძალგვიძრ, და ზატავს ვსტემდეთ მასში იმას, რაც ამ წამს ვერ გავვიგია.

„უოველი დაკვირვებული ადამიანი, რომელსაც წინასწარ არ შეუდგენია რწმენა, სწერს ჰალაში 1818 წ., — და რომელიც კმაყოფილებით შესტქერის კაცობრიობის კეთილდღეობას, ითულებულია აღიაროს ხანგრძლივი ინგლისის კეთილდღეობა, კეთილდღეობა, რომელიც განუწვევტლივ იზრდება, საუკეთესო მოვლენად კაცობრიობის ისტორიაში. ბუნების კარგს ზირობებს შეუძლია ცხოვრების უფრო კარგის ზირობების შექმნა, მაგრამ არც ერთს ქვეყანაში არ გავრტელებულა ზოლიტიკურ დაწესებულებათა საკეთილო გავლენა ამოდენა დიდს ხალხზე; ვერც ერთმა ხალხმა ვერ მოარიგა ასე კარგად ისეთი მოზირდაზირე ელემენტები, როგორც სიმდიდრე, წესიერება და თავისუფლება. ასეთს უზირატისობას უნდა ვუმადლიდეთ, რასაკვირველია, არა ჩვენის ვუნძელის ნიდაგს და არც მის მდებარეობას დედა-მამის ზურგზე, არამედ მის კანონების სულს. ამ კანონების შემწეობით განვითარდა დამოუკიდებლობა და შრომის მოყვარეობა, რომელიც განარჩევს ჩვენს ერს. ამიტომ ინგლისის კონსტიტუცია უნდა შეადგინდეს განსაკუთრებულ ყურადღების საგანს ეველს ქვეყნის ცხოვისმოყვარე ადამიანთათვის და მით უმეტეს ჩვენთვის. ბერმა საუკუნემ განვლო, მაგრამ ნიშნიც კი არ სჩანს ამ კონსტიტუციის რამე გაუსწორებულ დაქვეითების; ზირიქით, მას დღითიდღე ემატება სიცხოველე და ეს ენერგია არსებობად განარჩევს მას ეველს თავისუფალ მთავრობათაგან, რომელიც კი არსებულა ისტორიაში დიდ ერთს ცხოვრებაში“.

ეს ორი ნაკვეთი ორის მწერლისა, ორსავე ერთნაირად ცნობილისა, თუმცა ცხოვრების სხვა-და-სხვა სიერაში მომქმედისა, შესანიშნავს სინამდვილით გადმოგვტემს ჩვენს მამა-პაპათა შეხედულებას მათის სამშობლოს დაწესებულებასზე. კონსტიტუცია იყო მათთვის, გიორგი მე-III-ის თავისებურის ენით რომ ვსთქვათ, «უსრულესი კაცთა ნახელავთა შორის». კონსტიტუცია მათთვის უბრალო ზოლიტიკური წესი კი არ იყო, ისეთი წესი, რომლის შედარება შეიძლებოდეს ეოველისვე სხვა სახელმწიფოს წეობილებასთან, არამედ სახელმწიფოს შენების რადაც წმიდა საიდუმლოება. ბავშვობიდანვე გვსმენია ეველსა, რომ იგი დაარსებული კი არ იყო, არამედ გაიზარდა. იგი განუეებულ თეორიის ნყოფი კი არ არის, არამედ ინსტიტუცია. ამ ინსტიტუტმა (ასეთის წარმოდგენა)

შესძინა ინგლისელებს, და განსაკუთრებით ცივილიზაციას მოკლებულ ინგლისელებს, გამძლე და ხანგრძლივ დაწესებულებათა შექმნის ნიჭი, სწორედ ისე, როგორც ტუტკარი აშენებს ფიჭას იმ კანონების შეეგნებლად, რომელთა შემწეობითაც მისი ნაშენები შეგნებულ ხელოვნების ნაწარმოებზე უკეთესი გამოდის. ჩვენს კონსტიტუციას ბევრი მშვენიერი თვისება ჰქონია, რის გამოც ჩვენს წინაპართ თვალში ის უფრო მძლავ იდგა ეველს იმ სიუალებზე და მიბაძვასზე, რომელიც ვრტელებოდა უგანსავნელ ასის წლის განმავლობაში მთელს განათლებულს ქვეყანაში. არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რა დღეს გაჩნდა ჩვენი კონსტიტუცია; არც ერთს ტალკე ზირს არ შეუძლია მისის გამჩენის სახელი დარქვას; ვერავინ ვერ გვიჩვენებს იმ საბუთს, სადაც მისი მუხლები იევეს მოთავსებული; ერთის სიტყვით, ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც როგორც ინგლისელები, ისე უცხოელებიც უნდა სტემდნენ ზატავს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც არ შეუძლიათ მისი შეგნება».

ახალი შეხედულება კონსტიტუციაზე. — თანამედროვე შთამომავლობა, რასაკვირველია, ცოტა სხვა ნაირად უნდა შეეყრებდეს კონსტიტუციას, ვიდრე 1791 და 1818 წ.წ. შეეყრებდნენ.

ჩვენ არ შეგვიძლია ბორკისებური რელიგიური გატაცება. „უახლეს სოფლის დოქტორებმა“ ბორკის დროს ადაღინეს ბარბროსობის ბატონობა ტერორის სახით, და მათდამი სამართლიანმა სიძულვილმა ბორკის გატაცება კონსტიტუციით ამ კონსტიტუციისადმი ფანატკურ თაყვანისტემამდე მიიყვანა. არ შეგვიძლია აგრეთვე არც ჰალაშის თავმომწონე აღტაცებას თანავუგრძნოთ, თუმცა ასეთი აღტაცება სრულებით ბუნებრივია ინგლისელისათვის, რომელიც ხედავდა, რომ მამინ, როდესაც უცხოელ რეფორმატორთა ეოველივე ტდა თავისუფლებისა და შეთანხმების უტრუვდებოდათ, მისი ქვეყნის დაწესებულებანი ევაოდნენ. ეს-ლანდელ დროს კონსტიტუციის შემსწავლელს სურს მისი შეგნება მხოლოდ და არა მისი კრიტიკა ანუ თაყვანისტემა; ზროფესორს, რომელიც სახელმწიფო სამართალს ასწავლის, შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოწოდება — არა კრიტიკა, არა დაცვა; არა ქებათა შესხმა, არამედ მხოლოდ განმარტება; მისი ვალია — არა გაკიცხოს ან დაიცვას კონსტიტუცია, არამედ ახსნას და განმარტოს მხოლოდ მისი საფუძველი, კარდა ამისა, თუმცა ჩვენის კონსტიტუციის იღუმადი ხსიათი მეტად მომხიბლველია, მაგრამ ჩვენებურ ზროფესორს საბუთიანად შეუძლია საფრანგეთის, ბეღიისა და შეერთებულ შტატების ზროფესორებს შენატროდეს, რადგან ამ ქვეყნებს ისეთი კონსტიტუციები აქვს, რომლის შინაარსის გაცნობა შეიძლება სავსებით დასტამბულ საბუთების შემწეობით. ეს საბუთები ცნობილია ეოველ მოქალაქისთვის და ადვილი შესასწავლია ეოველსავე წერა-გითხვის მტოდხესთვის. რაც უნდა უზირატისობა ჰქონდეს «უწერ კონსტიტუციას», ის მეტად უძნელებს საქმეს მასწავლებელს, რომელსაც ვადად სდევს მისი განმარტება. ამ აზრს დაეთანხმება ეველს, ვინც შეადარებს ისეთს მწერლების მდგომარეობას

რეობას, როგორც კენტი და სტორია, რომელიც განმარტავდნენ ამერიკის კონსტიტუციას, იმ ზირის მდგომარეობასთან, რომელმაც ინგლისის სახელმწიფო სამართლის სწავლება იკისრა.

განსაკუთრებული სიძნელე ინგლისის კონსტიტუციის განმარტებისა.

როდესაც დასახელებულნი ზეტივეცემულნი იურისტები განმარტავდნენ თავიანთ ლექციებში შეერთებულ შტატების კონსტიტუციას, მათ კარგად იცოდნენ, როგორც სწავლების საგანი, აგრეთვე საგნის გადაცემის ნამდვილი საშუალება, მათი ლექციების შინაარსს შეადგენდა სამართლის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ევკლასათვის ცნობილსა და ხელმისაწვდომ საბუთში — „შეერთებულ შტატების ხალხისგან დაარსებულ და დაწესებულ შეერთებულ შტატების კონსტიტუციაში“. ამ კონსტიტუციის მუხლები მოკლებულია რამდენიმე ლოდიკურ დაწესებას და აზრების ზედმიწევნით გამოთქმას, მაგრამ მიუხედავად ამისა მათში მარტივისა და ადვილ გასაკების ერთ ადნუსსულია კავშირის ძირითადი კანონები. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კანონების დაწესება, შეცვლა ან გაუქმება არ შეიძლება იმ სახით, რა სახითაც წესდება ანუ იცვლება სხვა კანონები. ამიტომაც არის, რომ ეს კანონები წარმოადგენს ცალკე საგანს, ეს კანონები შეეხება საკანონმდებლო, საშინაო სამართლო, საგარეო უფლებათ. ამ კანონებშივეა ნათქვამი, თუ რა წესით შეიძლება მათივე შეცვლა-გაუქმებისა და ამიტომ ამ კანონებით განისაზღვრება იმ დაწესებულებების ხასიათიც, რომელშიაც მოთავსებულია შეერთებულ შტატების უმაღლესი საკანონმდებლო უფლება. სტორნი და კენტი ამ რიგად კარგად იცოდნენ აგრეთვე, როგორც და რანაირად მოეყვანათ თავის საქმისათვის. ამიტომ მათი მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდებოდა ამერიკის სამართლის სხვა დარგთა ამხსნელ პროფესორების მდგომარეობისგან. ამერიკელმა იურისტმა უნდა ახსნას კონსტიტუციის ცალკე მუხლების მნიშვნელობა სწორედ ისე, როგორც ხსნის სხვა რაიმე კანონის მუხლებს. ამისათვის უნდა ხელმძღვანელობდეს დრამატიკის, საზოგადო საშინაო სამართლის ცოდნით; უნდა ახსოვდეს, რა ხასიათსა სდებს ამერიკის ისტორია ამერიკის კანონმდებლობას და ხელმძღვანელობდეს იმ აზრებით, რომელსაც იძლევა სასამართლოთა განაჩენების ბეჭითი შესწავლა. ერთი სიტყვით, ამერიკელ დიდ კომენტატორების საქმე იყო განსაზღვრულ იურიდიულ საბუთის განმარტება იურიდიულენობაში შემოღებული საშუალებათა შემწობით. მათი საქმე, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, მაინცადა-მაინც არა ჩვეულებრივს არ წარმოადგენდა იურისტებისათვის, რადგან მის გასაკეთებლად საკმარისი იყო ჩვეულებრივი იურიდიული მეთოდი. სტორნი და კენტი მართლაც დიდის ნიჭის კაცები იყვნენ, ისეთივე ნიჭიერნი, როგორც ჩვენი ბლექსტონი ანუ როგორც ბლექსტონის თხზულებათა ერთი გამომცემელთაგანი მაინც. მაგ-

რამ ამერიკელმა იურისტებმა თუ ისეთი განმარტება შეადგინეს შეერთებულ შტატების კონსტიტუციის, რომელიც არა ჰქავს ინგლისის სახელმწიფო სამართლის არც ერთს განმარტებას და, უნდა გამოვსტუდეთ, სწავლის ვიდეც უგულვალა უგანასკნელთ, ეს აიხსნება იმ უზიარატესობით, რომელიც ჰქონდათ ამერიკელ იურისტებს და რომელსაც მოკლებულია ინგლისელი პროფესორი. ამ უგანასკნელთა მდგომარეობა სულ სხვაა, ვიდრე მის ამერიკელ თანამოძმისა. მას შეუძლია თავიდან ბოლომდე გაიზებინოს სტატუტების კრებული, მაგრამ ვერ ნახავს ვერც ერთს საბუთს, რომ შიგ კონსტიტუციის მუხლები იყოს, ვერ ნახავს ვერავითარ ნიშანს, რომელთაც შეიძლება დესძირითად ანუ საკონსტიტუციო კანონებისა და უბრალო დადგენილებათა გარჩევა; ის დაინახავს, რომ თვით სახელი (ტერმინი) „საკონსტიტუციო სამართალი“ (რომელიც, თუ შესიერება არა მდლავტობს, არასოდეს არ უხსენებია ბლექსტონს) შედარებით უახლოეს წარსულს ეკუთვნის; — ერთი სიტყვით ვიდრე საკონსტიტუციო სამართლის განმარტებას შეუდგებოდეს, მან უნდა გამოიჩინოს ამ საკონსტიტუციო სამართლის საზღვრები და სახე.

კომენტატორმა უნდა მიჰმართოს იურიტიკონსტიტუციონალისტებს, ისტორიკოსებს და ფილოსოფოსებს. აუცილებელია ამ შემთხვევაში ისტორიის, სამართლის საზოგადო და საკონსტიტუციო პრობლემების შესწავლა, და ავტორიტეტული წყაროების მიმართვა. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ხელმძღვანელი ბლემადაა. კომენტატორის ხელთ არის თხზულებანი ისეთ იურისტისა, როგორიც ბლექსტონია, ისეთ ისტორიკოსების გამოკვლევანი, როგორიც ჰალდანი და ფრინიანი და ფილოსოფიური შეხედულებანი ისეთ ფილოსოფოს-თეორეტიკოსებისა, როგორიც ბეჯვორტი და გიერნი. ეოველ ამ ზირისგან ცალკე კომენტატორი ბევრს რასმე ისწავლის, მაგრამ იმ მიზეზთა გამო, რომელთაც ეხლავს გაგანობით, იურისტებს, ისტორიკოსებს და ფილოსოფოსებს ცალ-ცალკე ადვილად შეუძლიათ ნამდვილ გზას აცდინონ მკვლევარი; უგანასკნელი, თუ რამ ხელმძღვანელი აზრი არ აქვს, დაინახავს, რომ ე. წ. „საკონსტიტუციო სამართალი“ რაღაც ლაბირინთია, რომელშიაც ყოველ ფენის გადაღმასვე რაღაც ფიქციებს აწუდება, რომ არა ვსთქვათ „სიტყვი, და ზირობით მოვლენათ.

ივ. ზ—შვილი.

(შემდეგი იქნება)



რედაქტ.-გამომცემელი: პეტ. სურგულაძე.